სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 30 ივლისი 2008 №174 (3398) ფასი 50 თეთრი



საქას და რთველოს პირველი ქართული

პეკინის ოლიმპიადის 33 ქართული ლიცენზიიდან რიგით ბოლო ჩვენი პლაჟის ფრენბურთელი ქალებისაა. კრისტინა და ანდრეზა, იგივე საქა და რთველო, აგერ, წელიწადნახევარია, საქართველოს მოქალაქეები არიან, თუმცა ასევე ქართულპასპორტიანი გეორ და გიასგან განსხვავებით, ახალ სამშობლოში ნამყოფები ჯერ არ არიან. კრისტინასთან და ანდრეზასთან აქამდე ქართული ინტერვიუც არავის გაეკეთებინა.

საქას და რთველოს პირველ ქართულ ინტერვიუს დღევანდელ „სარბიელში“ გთავაზობთ.

ელიტაპრ

რაღა ფინეთი და რაღა ფყევლა

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა უნგრეთში მიმდინარე კადეტთა ევროპის ჩემპიონატზე B დივიზიონის ჯგუფის ბოლო მატჩში ფინეთთან წააგო და მომდევნო ეტაპზე ვერარ გავიდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენი 18-წლამდელები ელიტაში, ანუ A დივიზიონში ვერ დაწინაურდნენ. არადა, ჩვენებს შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ფინეთთან ხუთბურთიანი წაგებაც აძლევდათ ხელს, მაგრამ უიმედოდ წააგეს და ჯგუფშიც ჩარჩნენ.

გზას დაგილოცავთ და კეთილი იყოს თქვენი მოგზრძანება

დღეს გამთენიისას თბილისის აეროპორტი, შეიძლება ითქვას, ქართული სპორტის ცენტრად იქცა. თბილისიდან პეკინისკენ გაფრინდა ჩვენი სპორტსმენების პირველი ჯგუფი, ხოლო თბილისში საქართველოს ფეხბურთის ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი ექტორ რაულ კუპერი ჩამოვიდა.

დღეს პეკინში ეს სპორტსმენები გაემგზავრნენ: მშვილდოსნები ხათუნა ნარიმანიძე და ქრისტინე ესებუა, ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძე, მოკრივეები ნიკოლოზ იზორია და კახაბერ ჟვანია, მძლეოსნები დავით ილარიანი და მარიამ ქევხიშვილი, მოცურავეები ანა სალნიკოვა და ირაკლი რევიშვილი, ბატუტზე მხტომელი ლიუბა გოლოვინა და ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძე.

ოლიმპიელთა მეორე ჯგუფი პეკინში ზეგ წავა.

ექტორ რაულ კუპერი კი დღეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკებას გააგრძელებს.

კარგი კი იქნება, განმეორდეს კასტორია

დღეს ჩემპიონთა ლიგაში დინამო პანათინაიკოსს უცუდესი ისტორიით და ახალი იმედით ხვდება

ჩემპიონთა ლიგა 2008–2009

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი



ათენი. 30 ივლისი. 22.45 საათი. სპირო ლუისი

პანათინაიკოსი — დინამო

მსაჯები: ბრუნო მიგელ დუარტე; ჟოზე კარდინალი, სერხიო სერაო; პაულო ჟორჟე ბატიშტა (ყველა პორტუგალია);
უეფას დელეგატი: ლუსიენ კაიზერი (ლუქსემბურგი); **დამკვირვებელი:** ლეონ შელინგსი (ბელგია)

ეს არის პანა

„პანათინაიკოსი“ 2004 წლის შემდეგ არ გამხდარა საბერძნეთის ჩემპიონი. ევროთასებზე ეს გუნდი „ოლიმპიაკოსზე“ ცუდად არ თამაშობს, მაგრამ ქვეყნის ჩემპიონატში ვერა და ვერ პირველობს, რაც გულშემატკივრებს ყელში ამოუვიდათ.

თბილისის „დინამოს“ დღევანდელ მეტოქეს 100 წლის იუბილე აქვს და ამჯერად არა მარტო კლუბში, საბერძნეთშიც დარწმუნებულნი არიან, რომ „პანა“ სწორი გზით მიდის.

კერძოდ, საქმე ეხება კლუბის ბიუჯეტის გაზრდას: „პანათინაიკოსს“ წლების განმავლობაში ვარდნიანისის ოჯახი ფლობს და მათ წლეულს პირველად მიმართეს დასახმარებლად უცხოელ ინვესტორებს. შესაბამისად, თანხაც შემოემატა კლუბს და რამდენიმე სერიოზული შენაძენიც გაკეთდა.

რად ღირს მარტო ჰოლანდიელი ჰენკ ტენ კატეს გამწვრთნელება, რომელიც „პანამ“ „ხეტაფეედან“ წასულ მიქაელ ლაუდრუპს არჩია.

53 წლის ტენ კატე მკაცრი ხასიათით და ფეხბურთელებისთვის ბავშვივით თითის ქნევითაა ცნობილი. ახლა ერთი სურათი გვიდგას თვალწინ: გასული ინგლისის პრემიერლიგის ბოლო ტურებში „ჩელსიმ“ „მანჩესტერი“ რომ დაამარცხა, „მანიუს“ რიო ფერდინანდი გაცეცხლებული მიდიოდა გასახდელისკენ, ვერავინ გაბედა მასთან დალაპარაკება და დამშვიდება... გარდა ტენ კატესი. ეს კაცი „ბარსელონაშიც“ იყო ფრანკ რაიკაარდის თანაშემწედ და დეკუ ამბობდა, იგი მაინცდამაინც არ გვიყვარს ფეხბურთელებს, მაგრამ „ბარსა“ ტენ კატეთი უფრო ძლიერი იყო, ვიდრე მისი წასვლის შემდეგო.

ახლა კი ჰოლანდიელი არა თანაშემწე, არამედ მთავარი მწვრთნელია და „პანაში“ სრული კარტბლანში მისცეს საატრანსფეროდ, ოღონდ უთხრეს, წლეულს ლიგის ჯგუფური ეტაპიდან უნდა გახვიდე, საბერძნეთშიც ჩემპიონობისთვის უნდა გახდე და პლუს, სასიამოვნო ფეხბურთი უნდა გვაჩვენოო.

თვითონ ტენ კატე კლუბის ხელმძღვანელობას დაპირდა, გულშემატკივრებსა და ფეხბურთელებს შორის მშვენიერი დამოკიდებულება იქნებაო.

„ვერავინ გამოთვლის თავის მომავალს და ჯადოსნური კრისტალი არც მე მაქვს. რაც შემიძლია გითხრათ, „პანამ“ მოგებები უნდა დაიწყოს. მიყვარს შემტევი ფეხბურთი, მაგრამ გიჟი არ ვარ, გუნდის ჩამოყალიბებას საძირკველიდან ვიწყებ და არა სახურავიდან — პირველ რიგში, მეკარეს და დაცვას ვაქცევ ყურადღებას, მერე ნახევარდაცვას და თავდასხმას. ჩემმა მცველებმა იციან, რომ შეტევაში ჩართვა შეუძლიათ, ოღონდ თავიანთი ამპლუა არ უნდა დააგიწყდეთ“ — ამბობს ტენ კატე.

„პანათინაიკოსის“ ფანებს ძალიან გაუხარდათ, რომ ტენ კატე ახალგაზრდა სოტირის ნინისზე დაყრდნობას აპირებს. 18 წლის შემტევს ტენ კატეს წინამორბედი ჟოზე პეშეირო არ ენდობოდა, არც საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელმა ოტო რეჰაგელმა წაიყვანა ევროპის ჩემპიონატზე. არადა, ნინისი ელადაში თანატოლთა შორის იმდენად გამორჩეულია, რომ გოლიათად ჩანს.

რამდენიმე დღის წინ „პანამ“ ბელგიის „შერლერუასთან“ ამხანაგური მატჩი 5:1 მოიგო და ეს სწორედ ნინისის მეთაურობით მოახერხა. ბიჭი 1:1-ზე შევიდა მინდორზე, ერთი გოლი თავად გაიტანა, სამი კი თანაგუნდელებს გაატანინა.

„პანას“ წლევანდელ შენაძენთა შორის, ცხადია, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ჟილბერტო სილვა უნდა გამოვარჩიოთ. „არსენალიდან“ შეძენილი ბრაზილიელი მართლაც დიდი ძალაა, თუმც დღეს „დინამოსთან“ ვერ ითამაშებს...

ილია ნანოგაშვილი

ექტორ რაულ კუპერი დღეიდან ხვალამდე

საქართველოს ნაკრების მწვრთნელობის კანდიდატი, არგენტინელი ექტორ რაულ კუპერი, რომლის ჩამოსვლის თარიღი უკვე ორჯერ შეიცვალა, დღეს გამთენიისას უნდა ჩამოსულიყო.

კუპერი ეროვნულ სტადიონზე მისვლას 12.30 საათზე გეგმავს, შემდეგ საგურამოში ნაკრების ბაზას მოინახულებს და იქიდან სფფ-ის ტექნიკურ ცენტრ „ბასას“ ეწვევა.

31 ივლისს კუპერი „მიხეილ მესხზე“ თბილისის „ვიტ ჯორჯიასა“ და ტრნავის „სპარტაკის“ საუეფასთასო მატჩს დაესწრება.

სწორედ ამ ვიზიტზე უნდა გადაწყდეს საბოლოოდ მისი დანიშვნის ამბავი. ოფიციალურად კი ეს საკითხი 1 აგვისტოს აღმასკომის სხდომაზე გაირკვევა — აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა ექტორ რაულ კუპერს, ფოლკერ ფინკესა და პეტარ სეგრტს შორის უნდა გააკეთონ არჩევანი.

კახა შალამბერიძე

ანჟი არზიანმა იხსნა

მახაჩყალის „ანჟიმ“ მორიგი მატჩი გამართა რუსეთის პირველ დივიზიონში და შინ 1:1 დაუზავდა კრასნოდარის „ყუბანს“.

მახაჩყალელები თავიდან აგებდნენ და 76-ე წუთზე ანგარიში ქართველმა ზურაბ არზიანმა გაათანაბრა.

„ანჟი“ საპრემიერლიგო მეორე ადგილს ინარჩუნებს და კარგი შანსი აქვს, გაისად ელიტაში აინაცვლოს.

კახა შალამბერიძე

ჩემპიონთა ლიგა 2008-2009
მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

ინტერი (აზერბაიჯანი) 1:1 პარტიზანი (სერბეთი)
0:1 ბოგუნოვიჩი (5), 1:1 ზლატინოვი (82)

ბრანი (ნორვეგია) 1:0 ვენტსპილსი (ლატვია)
1:0 დემბა-ნირენი (87)

დროჰედა (ირლანდია) 1:2 დინამო (უკრაინა)
0:1 მიხალიკი (23), 1:1 ბიუზი (47), 1:2 ალიევი (86)

უეფას თასი 2008-2009
პირველი ეტაპი. საპასუხო მატჩი

ნორდსიელანდი (დანია) 5:0 ტვმკ (ესტონეთი) (3:0)
1:0 ბერნერი (4), 2:0, 3:0 ბერნბურგი (53პ, 55), 4:0 დალი (66), 5:0 ბოდე (89)

შვედეთი
სუპერლიგა. XVI ტური

ფალკენბერგი 3:1 ინჩიოპინგი
მიალბი 1:0 ბრომაპოიკარნა

ინგლანდია
I დივიზიონი
XIV ტური

რეიკიავიკი 2:0 ფიოლნირი

ავსტრია
ბუნდესლიგა
IV ტური

ალტახი 1:0 შტურმი

აშშ
მეიჯორლიგა
XVIII ტური

სოლტ ლეიკი 2:1 ტორონტო

ამხანაგური მატჩები

ოსერი 0:1 შარლერუა
მუსკრონი 0:1 ლილი
გრონინგენი 0:1 ვეენ დამი
კარლსრუე 0:2 ფრაიბურგი
ლიონი 0:1 მონაკო
ბარნსლი 0:6 უიგანი
კარლაილი 1:2 მიდლსბრო
ბერი 1:2 შეფილდი
ჩელტენჰემი 1:1 ბრისტოლი
ჩესტერფილდი 1:0 უენსდი
დარლინგტონი 0:0 ლიდსი
ჰერეფორდი 0:0 საუთჰემპტონი
ლესტერი 2:3 ბირმინგემი
ნორთჰემპტონი 0:1 ვესტ ბრომვიჩი
ოლდჰემი 1:1 ჰალი
პიტერბრო 0:2 ვესტ ჰემი
სუინდონი 1:1 კარდიფი
ტრანმერი — ბოლტონი გადაიდო

ბერლუსკონის თასი
იუვენტუსი 2:2დ.დ.(2:4პ) მილანი
იუვენტუსი 1:0 ინტერი
მილანი 0:0დ.დ.(4:3) ინტერი





საქართველო საბერძნეთს ვერ იტანს!

რა საშინელი სტატისტიკაა...

დღეს „დინამო“ „პანათინაიკოსს“ სტუმრობს და გარდა იმისა, რომ გუნდებს შორის კლასში ვეება სხვაობაა, ქართულ-ბერძნული ურთიერთშეხვედრების სტატისტიკაც ვერაფრით გვაიმედებს.

მხოლოდ საბჭოეთის პერიოდში გვაქვს ფეხბურთში ბერძნებთან მოგებული. ბედნიერ 1980-81 წლების საევროპო სეზონში უფროსი ნოდარ ახალკაცის „დინამომ“ „კასტორიას“ ძლევით დაიწყო აღმართი, რომელიც 13 მაისს დიუსელდორფში „კარლ ცაისთან“ მოგებით დაასრულა. დინამოელებმა გასვლითი 0:0-ის შემდეგ, ბერძნებს შინ ვლადიმერ გუცაევისა და რამაზ შენგელიას მეორე ტაიმში გატანილი გოლებით აჯობა.

...მაგრამ დამოუკიდებლობის პერიოდში ქართული კლუბები ექვსჯერ და ნაკრები ხუთჯერ შეხვედრიან ბერძნებს — არც ერთი ფრე, თერთმეტი მატჩიდან თერთმეტივე წაგება!

ამ თერთმეტიდან ყველაზე სამარცხვინო 2002 წლის შემოდგომაზე „ლოკომოტივის“ საშინაო 0:7 იყო პაოკ-თან. იმავე სეზონში ქუთაისის „ტორპედო“ სტუმრად 1:6 განადგურდა აეკ-თან. ბოლო, საკლუბო ქართულ-ბერძნული შეხვედრა კი 2004 წლის უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე იყო, როცა „დინამოსაც“ და „პანიონიოსსაც“ ჯგუფიდან გასვლის შანსი დაკარგული ჰქონდათ.

გია გეგუჩაძის გუნდი ელადაში იგებდა, მაგრამ 2:5 წააგო.

გეხსომებათ ის მატჩი, უეფამ გამოძიება რომ დაიწყო, ჩაწყობის სუნი ასდიოდაო...

სანაკრებო დონეზე ხუთი მატჩიდან სამში ქართველებმა გახსნეს ანგარიში, მაგრამ მაინც წააგეს. პირველად ეს 1996 წელს მოხდა, საბერძნეთში ჩვენები გოჩა გოგრიჭიანის გოლით დაწინაურდნენ და 1:2 დათმეს. ასევე იყო 1999-ში, როცა იოჰან ბოსკამპის გაწვრთნილი საქართველო თემურ ქეცბაიას გატანილით იგებდა და ძალიან კარგადაც თამაშობდა, თუმც ბერძნებმა ბოლო ოთხ წუთში შეაგდეს ორი გოლი. დასანანი იყო საშინაო მარცხი 2005 წელსაც — ალენ ჟირესის ნაკრები მალხაზ ასათიანმა დააწინაურა, ელინელებმა კი ჯერ პირველი ტაიმის ბოლო წუთებზე გაიტანეს ორჯერ, მეორე ტაიმში კიდევ ერთი მიუმატეს და ამით მორჩა...

ვიცით, ბევრი იტყვის, კი მაგრამ, ვისთან გამოსდით ქართველებს კარგად თამაშიო, მაგრამ... ბერძნებთან მართლაც რომ განსაკუთრებულად ამაზრზენი სტატისტიკა გვაქვს.

„დინამო“ გამოასწორებს? ძალიან გვინდა, ასე მოხდეს და, ვნახოთ...

ილია ნანოგაყვილი

ურთიერთშეხვედრები

ჯლუბები

1980-81 თასების თასი. მეთექვსმეტედფინალი
კასტორია 0:0 დინამო
დინამო 2:0 კასტორია

1997. ინტერტოტოს თასი
ირაკლისი 2:0 მერანი 91

2002-03 უეფას თასი. II საკვალიფიკაციო ეტაპი
ტორპედო 0:1 აეკ
აეკ 6:1 ტორპედო
ლოკომოტივი 0:7 პაოკ
პაოკ 2:0 ლოკომოტივი

2004-05. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი
პანიონიოსი 5:2 დინამო

ნაკრები

1996. ამხანაგური მატჩი
საბერძნეთი 2:1 საქართველო

1998. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი
საბერძნეთი 3:0 საქართველო

1999. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი
საქართველო 1:2 საბერძნეთი

2005. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი
საქართველო 1:3 საბერძნეთი
საბერძნეთი 1:0 საქართველო

სულ: 13 მატჩი +1 =1 -11 8:34
დამოუკიდებლობის პერიოდში:
+0 =0 -11 ბურთები 6:34

ფეხბურთი

თბილისი. მიხეილ მესხი

უეფას თასის პირველი ეტაპის საპასუხო მატჩი

31 ივლისი

ვიტ ჯორჯია — სპარტაკი

საქართველო სლოვაკეთი

დასაწყისი 17.30 საათზე. ბილეთის ფასი 2 ლარი

„ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანი ალექსანდრე კვახაძე და პაატა ბურჯალიანი

ნესტორ მუმლაძე

ფოტოები ვალერიან ბურჯალიანის

მოდით, გვიქომაგეთ!

თბილისის „ვიტ ჯორჯიას“ სლოვაკურ ტრნავის „სპარტაკთან“ უეფას თასის საპასუხო შეხვედრა ხვალ ელის. გუშინ კი, სანამ ნესტორ მუმლაძე „მიხეილ მესხზე“ წვრთნას დაიწყებდა, საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის გენერალურმა მდივანმა პაატა ბურჯალიანმა ვეტერინარებს კუთვნილი ვერცხლის მედლები გადასცა და მოახლოებულ მატჩში წარმატებები უსურვა...

ვარჯიში საკმაოდ მსუბუქი გამოდგა — მოთელვა, კვადრატი, კარში დარტყმა და ნახევარ მოედანზე ორკარა.

ამ ყველაფერმა საათი და 15 წუთი წაიღო.

თვალშისაცემი იყო ერთი ფაქტი, კარში დარტყმების უმრავლესობა გოლით მთავრდებოდა და საერთოდაც გუნდი საკმაოდ მხნედ გამოიყურებოდა. იმედი გვაქვს, ამ განწყობას ხვალინდელ მატჩშიც შეინარჩუნებენ და „სპარტაკს“ დამარცხებულს გაუშვებენ შინ.

სლოვაკები დღეს 12 საათზე ჩამოფრინდებიან თბილისში და „ქორთიარდ მარიოტში“ დაბინავდებიან. სულ 50-კაციანი დელეგაცია მოდის და მათ შორის რამდენიმე ჟურნალისტიცაა.

17 საათზე „მიხეილ მესხზე“ სტუმართა მთავარი მწვრთნელი ვლადიმირ ვერმეზოვიჩი პრესკონფერენციას გამართავს, შემდეგ კი ვარჯიში ექნება.

სლოვაკები დაასრულებენ ვარჯიშს და, ნესტორ მუმლაძე პრესკონფერენციას მოაწყობს, მერე კი, რა თქმა უნდა, ვიტელთა წვრთნაც იქნება.

გუშინ ნავარჯიშევს კი *ნესტორ მუმლაძეს* გავესაუბრეთ...

— რამდენად კმაყოფილი ხართ ფეხბურთელების მომზადებით?

— უკრაინაში საკმაოდ კარგი შეკრება გავიარეთ. რამდენიმე ტესტმატჩიც გავმართეთ და ყველაფერი გეგმის მიხედვით წარიმართა.

— „სპარტაკთან“ პირველ მატჩზე რას იტყვით?

— ნორმალურად ვითამაშეთ და ვფიქრობ, სასურველი შედეგიც მივიღეთ. კარგი იყო, 2:0 შეგვენარჩუნებინა, მაგრამ რას ვიზამთ... ფეხბურთია და ხდება.

— ის მატჩი თუ გაანალიზეთ?

— დიახ, თამაში გავარჩიეთ, ხვალ შეკრებაზე გადავდივართ საქართველოს ნაკრების ბაზაზე და კიდევ ერთხელ ვნახავთ ფირს. აქვე მინდა, დიდი მადლობა ვუთხრა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, ბაზა რომ დაგვითმო.

— „სპარტაკი“ სახლის გუნდად ითვლება და როგორ ფიქრობთ, ეს რამდენად იმოქმედებს საპასუხო მატჩზე?

— „სპარტაკი“ ჩვენთან მაყურებელმა აათამაშა — ასეთი ქომაგობა ჯერ არსად მინახავს. ჩემს ფეხბურთელებსაც ვუთხარი, რომ „სპარტაკი“ სახლის გუნდია და აქ შანსი აღარ უნდა მივცეთ. მათ ქომაგებზე ვთქვით და, მინდა, ქართველ გულშემატკივრებს ვთხოვო, რომ მოვიდნენ და გვიქომაგონ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

— და მაინც, შანსებს როგორ აფასებთ?

— საბედნიეროდ, ტრავმირებული არავინ გვყავს, ყველანი ჯანზე არიან. „ვიტ ჯორჯიას“ მომდევნო ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი აქვს და ეს უნდა გამოვიყენოთ.

ნუკრი ლოლაძე

ვალერიან ბურჯალიანის ფოტო

გაყიდვაშია საქართველოს ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ხუთი საშინაო მატჩის აბონემენტები.

დამზადებულია სამი სახის აბონემენტი — 150-ლარიანი (დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-9 სექტორი), 50-ლარიანი (დასავლეთი ტრიბუნა, II იარუსი, მე-11 სექტორი) და 25-ლარიანი (ჩრდილოეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-13 სექტორი).

25 და 50-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს საჩუქრად გადაცემათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოგოთი დამშვენებული შარფები, ხოლო 150-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით — 50 ლარად, შეუძლიათ, შეიძინონ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისური.

აბონემენტების შეძენა შეგიძლიათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

ბათუმი სპარტაკმა აღმოაჩინა

გუშინ გონიოში შეკრებაზე მყოფი ცხინვალის „სპარტაკი“ მკვდრეთით აღმდგარ „ბათუმს“ გაეჯიბრა ამხანაგურად და 3:1 იმარჯვა.

ცხინვალელებმა ტაიმები სხვადასხვა შემადგენლობით ითამაშეს. თავიდან ბათუმელები დაწინაურდნენ, თუმცა მერე უმაღლესლიგელებმა იძალეს და სამი გოლიც გაიტანეს.

გამთანაბრებელი ნუკრი გოგოხიამ შეაგდო, მამუკა ღონღაძემ წინ გაიყვანა თავისი გუნდი, მატჩის ბოლო გოლი კი „სპარტაკის“ ახალწვეულ კობა შალამბერიძის ანგარიშზეა.

კობა შალამბერიძე გოლით გამოირჩა

„სპარტაკს“ ახლახან შეუერთდა თბილისის „მერანის“ ყოფილი ფეხბურთელი ლაშა ჯანგიძე.

ჟორჟიკაშვილმა ეს ფეხბურთელები ათამაშა:

პირველი ტაიმი: გ. იაშვილი, კობახიძე, დარბაიძე, კუპრეიშვილი, ხიზანიშვილი, მებალიშვილი, ზამთარაძე, დათუნაშვილი, ქავთარაძე, ოსეფაშვილი, ბაგაშვილი.

მეორე ტაიმი: ქვილითაია, ხაჭიპერაძე, ქორიძე, მამუკაშვილი, გ. ნადირაშვილი, კ. შალამბერიძე, ტყეშელაშვილი, ჯანგიძე, გოგოხია, ხიდაშელი, მ. ღონღაძე.

ნუკრი ლოლაძე

ქალთა პირველი საკლუბო იწყება

ხვალ ქობულეთში დაიწყება საქართველოს პირველი საკლუბო ჩემპიონატი ქალ ფეხბურთელთა შორის.

აქამდე საქართველოს ჩემპიონატი რეგიონთა ნაკრებებს შორის ეწყობოდა.

პირველ საკლუბო ჩემპიონატში 8 კლუბი ითამაშებს, რომლებიც ორ ჯგუფში გადანაწილდნენ:

A ჯგუფი: თბილისის „დინამო“, „ბათუმი“, წალენჯიხის „ჯიხა“, „წყალტუბო“;

B ჯგუფი: ხაშურის „ივერია“, ქუთაისის „იმერეთი“, „ქობულეთი“, თბილისის „იბერია“.

ჯგუფური ტურნირის მატჩები 31 ივლისს და 1-2 აგვისტოს ჩატარდება. პირველადგილოსნები ჩემპიონის ვინაობას გაარკვევენ, მეორეადგილოსნები კი მესამე ადგილისთვის დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ქახა შალამბერიძე

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის განვითარების პროგრამა. კითხვარი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და თბილისის ფეხბურთის ფედერაცია ერთობლივად მუშაობენ ფეხბურთის განვითარების პროგრამაზე. ჩვენი სურვილია, დაინტერესებულმა პირებმა მაქსიმალურად აქტიური მონაწილეობა მიიღონ ამ პროცესში. გამოთქვან საკუთარი აზრი და მსურველებმა წარმოადგინონ პროგრამის საკუთარი ვარიანტი.

ამასთან დაკავშირებთ, გთავაზობთ კითხვარს. წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისთვის.

პროგრამისა და შენიშვნების ავტორს მოეთხოვება ახსნა:

1. რა არის მისი პროგრამის შექმნის მიზეზი და რა აუცილებელი პირობების შექმნაა საჭირო პროგრამის უზრუნველსაყოფად.
2. პროფესიულ საქმიანობაში რა კონკრეტული პრობლემა აწუხებს ყველაზე მეტად და რომელი მათგანის გადაჭრაა აუცილებელი.
3. კონკრეტულად რა არ აკმაყოფილებდა მოქმედ პროცესში. რა სურს შეცვალოს და როგორ?
4. პროგრამაზე მუშაობისას კონკრეტულად რა ახალი შედეგები იქნა მიღებული. რა მიზანი აქვს და რა შედეგს მოგვცემს მისი რეალიზაცია?
5. ფეხბურთის განვითარების მოცემულ ეტაპზე რომელ კონკრეტულ ამოცანას წყვეტს პროგრამა?
6. რომელი არატრადიციული ხერხები გამოიყენება პროგრამაში და როგორ?
7. რა კრიტერიუმით ხდება ფეხბურთელის განვითარების შეფასება? როგორია შეფასების ეს სისტემა?
8. რაში მდგომარეობს სიახლის თავისებურება და ორიგინალობა? რით განსხვავდება ის ძველისგან?
9. რომელ თეორიულ დებულებასა და სამეცნიერო-კვლევით შედეგებს ეყრდნობა საავტორო პროგრამა?
10. მიუთითეთ გამოყენებული ლიტერატურა.

გთხოვთ, თქვენი იდეები მოგვაწოდოთ ფეხბურთის ფედერაციაში ან გამოგვიგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე GFF@GFF.GE 2008 წლის 1 სექტემბრამდე.

საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა — კალენდარი

1 ტური
მგლები – სიონი
ბორჯომი – ვიტ ჯორჯია
გაგრა – დინამო
ლოკომოტივი – მესხეთი
ოლიმპი – ზესტაფონი
სპარტაკი ისვენებს

2 ტური
სიონი – ზესტაფონი
მესხეთი – ოლიმპი
დინამო – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – გაგრა
მგლები – ბორჯომი
ლოკომოტივი ისვენებს

3 ტური
ბორჯომი – სიონი
გაგრა – მგლები
სპარტაკი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – დინამო
ზესტაფონი – მესხეთი
ოლიმპი ისვენებს

4 ტური
სიონი – მესხეთი
დინამო – ოლიმპი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
მგლები – სპარტაკი
ბორჯომი – გაგრა
ზესტაფონი ისვენებს

5 ტური
გაგრა – სიონი
სპარტაკი – ბორჯომი
ლოკომოტივი – მგლები
ოლიმპი – ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი – დინამო
მესხეთი ისვენებს

6 ტური
დინამო – მესხეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
მგლები – ოლიმპი
ბორჯომი – ლოკომოტივი
გაგრა – სპარტაკი
სიონი ისვენებს

7 ტური
სპარტაკი – სიონი
ლოკომოტივი – გაგრა
ოლიმპი – ბორჯომი
ზესტაფონი – მგლები
მესხეთი – ვიტ ჯორჯია
დინამო ისვენებს

8 ტური
სიონი – დინამო
მგლები – მესხეთი
ბორჯომი – ზესტაფონი
გაგრა – ოლიმპი
სპარტაკი – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია ისვენებს

9 ტური
ლოკომოტივი – სიონი
ოლიმპი – სპარტაკი
ზესტაფონი – გაგრა
მესხეთი – ბორჯომი
დინამო – ვიტ ჯორჯია
მგლები ისვენებს

10 ტური
სიონი – ვიტ ჯორჯია
მგლები – დინამო
გაგრა – მესხეთი
სპარტაკი – ზესტაფონი
ლოკომოტივი – ოლიმპი
ბორჯომი ისვენებს

11 ტური
ოლიმპი – სიონი
ზესტაფონი – ლოკომოტივი
მესხეთი – სპარტაკი
დინამო – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – მგლები
გაგრა ისვენებს

12 ტური
სიონი – მგლები
ვიტ ჯორჯია – ბორჯომი
დინამო – გაგრა
მესხეთი – ლოკომოტივი
ზესტაფონი – ოლიმპი
სპარტაკი ისვენებს

13 ტური
ზესტაფონი – სიონი
ოლიმპი – მესხეთი
სპარტაკი – დინამო
გაგრა – ვიტ ჯორჯია
ბორჯომი – მგლები
ლოკომოტივი ისვენებს

14 ტური
სიონი – ბორჯომი
მგლები – გაგრა
ვიტ ჯორჯია – სპარტაკი
დინამო – ლოკომოტივი
მესხეთი – ზესტაფონი
ოლიმპი ისვენებს

15 ტური
მესხეთი – სიონი
ოლიმპი – დინამო
ლოკომოტივი – ვიტ ჯორჯია
სპარტაკი – მგლები
გაგრა – ბორჯომი
ზესტაფონი ისვენებს

16 ტური
სიონი – გაგრა
ბორჯომი – სპარტაკი
მგლები – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია – ოლიმპი
დინამო – ზესტაფონი
მესხეთი ისვენებს

17 ტური
მესხეთი – დინამო
ზესტაფონი – ვიტ ჯორჯია
ოლიმპი – მგლები
ლოკომოტივი – ბორჯომი
სპარტაკი – გაგრა
სიონი ისვენებს

18 ტური
სიონი – სპარტაკი
გაგრა – ლოკომოტივი
ბორჯომი – ოლიმპი
მგლები – ზესტაფონი
ვიტ ჯორჯია – მესხეთი
დინამო ისვენებს

19 ტური
დინამო – სიონი
მესხეთი – მგლები
ზესტაფონი – ბორჯომი
ოლიმპი – გაგრა
ლოკომოტივი – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია ისვენებს

20 ტური
სიონი – ლოკომოტივი
სპარტაკი – ოლიმპი
გაგრა – ზესტაფონი
ბორჯომი – მესხეთი
ვიტ ჯორჯია – დინამო
მგლები ისვენებს

21 ტური
ვიტ ჯორჯია – სიონი
დინამო – მგლები
მესხეთი – გაგრა
ზესტაფონი – სპარტაკი
ოლიმპი – ლოკომოტივი
ბორჯომი ისვენებს

22 ტური
სიონი – ოლიმპი
ლოკომოტივი – ზესტაფონი
სპარტაკი – მესხეთი
ბორჯომი – დინამო
მგლები – ვიტ ჯორჯია
გაგრა ისვენებს

23 ტური
მგლები – სიონი
ბორჯომი – ვიტ ჯორჯია
გაგრა – დინამო
ლოკომოტივი – მესხეთი
ოლიმპი – ზესტაფონი
სპარტაკი ისვენებს

24 ტური
სიონი – ზესტაფონი
მესხეთი – ოლიმპი
დინამო – სპარტაკი
ვიტ ჯორჯია – გაგრა
მგლები – ბორჯომი
ლოკომოტივი ისვენებს

25 ტური
ბორჯომი – სიონი
გაგრა – მგლები
სპარტაკი – ვიტ ჯორჯია
ლოკომოტივი – დინამო
ზესტაფონი – მესხეთი
ოლიმპი ისვენებს

26 ტური
სიონი – მესხეთი
დინამო – ოლიმპი
ვიტ ჯორჯია – ლოკომოტივი
მგლები – სპარტაკი
ბორჯომი – გაგრა
ზესტაფონი ისვენებს

27 ტური
გაგრა – სიონი
სპარტაკი – ბორჯომი
ლოკომოტივი – მგლები
ოლიმპი – ვიტ ჯორჯია
ზესტაფონი – დინამო
მესხეთი ისვენებს

28 ტური
დინამო – მესხეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
მგლები – ოლიმპი
ბორჯომი – ლოკომოტივი
გაგრა – სპარტაკი
სიონი ისვენებს

29 ტური
სპარტაკი – სიონი
ლოკომოტივი – გაგრა
ოლიმპი – ბორჯომი
ზესტაფონი – მგლები
მესხეთი – ვიტ ჯორჯია
დინამო ისვენებს

30 ტური
სიონი – დინამო
მგლები – მესხეთი
ბორჯომი – ზესტაფონი
გაგრა – ოლიმპი
სპარტაკი – ლოკომოტივი
ვიტ ჯორჯია ისვენებს

31 ტური
ლოკომოტივი – სიონი
ოლიმპი – სპარტაკი
ზესტაფონი – გაგრა
მესხეთი – ბორჯომი
დინამო – ვიტ ჯორჯია
მგლები ისვენებს

32 ტური
სიონი – ვიტ ჯორჯია
მგლები – დინამო
გაგრა – მესხეთი
სპარტაკი – ზესტაფონი
ლოკომოტივი – ოლიმპი
ბორჯომი ისვენებს

33 ტური
ოლიმპი – სიონი
ზესტაფონი – ლოკომოტივი
მესხეთი – სპარტაკი
დინამო – ბორჯომი
ვიტ ჯორჯია – მგლები
გაგრა ისვენებს

ოქროს ბებრეები

პრემიერლიგაში აღზევებული „ჰალის“ ფორვარდი დინ უინდასი 39 წლისაა და ფეხბურთიდან წასვლას ჯერ არ აპირებს. „ჰალი“ 104-წლიან ისტორიაში პირველად ითამაშებს ელიტაში და უინდასიც ინგლისის ჩემპიონატის უხუცესი გახდება. მაისში, ჩემპიონლიგის პლეი ოფში ჰალელებმა სწორედ უინდასის გოლით სძლიეს „ბრისტოლ სიტის“ და პრემიერლიგის საგზური გაინაღდეს. ამასთან დაკავშირებით, გაზეთმა „სანმა“ იმ რჩეულ ვეტერანთა ათეული ჩამოწერა, რომლებმაც ორმოც წლამდე სდიეს ბურთს და ინგლისურ ფეხბურთს კვალი დაატყვეს. ამ ნუსხაში ვერ მოხვდა უინდასი, რაკი ყოველთვის საშუალო დონის მოთამაშედ ითვლებოდა

10. ლი დიქსონი



„არსენალის“ ლეგენდამ ფეხბურთს თავი 2002-ში, 38 წლისამ დაანება. 14 წლის განმავლობაში მარჯვენა მცველი დიქსონი „მეთოფეების“ საუცხოო დაცვის ხაზის ნაწილი იყო და კარიერა ტონი ადამსთან ერთად დაასრულა.

9. გარი სპიდი



უელსელი ნახევარმცველი ახალგაზრდებისთვის სამაგალითოა. 20-წლიანი კარიერის განმავლობაში დაღმასვლა თითქმის არ ჰქონია. 38 წლის ფეხბურთელი „ბოლტონმა“ შარშან შუასეზონში „შეფილდ იუნაიტედს“ ათხოვა, რის გამოც კლუბმა ფანების რისხვა დაიმსახურა.

8. მარკ ჰიუზი



„მანჩესტერ სიტის“ ამჟამინდელმა მწვრთნელმა 22 წლის განმავლობაში სამი ქვეყნის ჩემპიონატში ითამაშა და ყველგან საუკეთესო იყო. 1999-ში უელსის ნაკრები ჩაიბარა, თან პრემიერლიგაში კიდევ სამი წელი ფეხბურთს თამაშობდა. კარიერა 38 წლისამ, „ბლექბერნ როვერსში“ დასრულა და უელსის ნაკრების მერე ამ გუნდს თავკაცობდა, სანამ ამ ზაფხულს „მანჩესტერ სიტის“ მწვრთნელი გახდებოდა.

7. დენის ირვინი



„მანჩესტერ იუნაიტედის“ ირლანდიელი მცველი პრემიერლიგის ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური ფეხბურთელი იყო. 12 წელი შეალია „მანჩესტერს“ და მერე „საუთჰემპტონში“ გადავიდა, რომელსაც 2003-ში პრემიერლიგაში დაბრუნებაში დაეხმარა. კარიერა 2004 წელს 38 წლისამ დასრულა.

6. სტიუარტ ჰირსი

ოღრორჩოღრო კარიერის მიუხედავად, მოგიჟო პირსმა 40 წლამდე სდია ბურთს. პრემიერლიგაში ბოლო მატჩი 2001-ში, „ვესტ ჰემის“ მაისურით ითამაშა, როცა 39-ის იყო. მერე კიდევ ერთი სეზონი „მანჩესტერ სიტიში“, ქვედა დივიზიონში გაატარა.

5. ნაიჯელ უინტერბერნი



ლი დიქსონის თანაგუნდელი და 90-იანი წლების „არსენალის“ მარცხენა მცველი უინტერბერნი თავის პოზიციაზე ინგლისში ერთ-ერთი საუკეთესო იყო. „მეთოფეებიდან“ ბოლოს „ვესტ ჰემში“ გადავიდა და ფეხბურთს 39-სამ დაანება თავი.

4. რეი უილკინსი

ინგლისის ნაკრების ყოფილმა ნახევარმცველმა კარიერის დასრულება 1994-ში გადაწყვიტა, როცა „ქუინზ პარკ რეინჯერსიდან“ წავიდა, მაგრამ რამდენიმე თვეში ამავე გუნდში მოთამაშე-მწვრთნელად დაბრუნდა და 39 წლამდე ითამაშა.

3. ბრაიან რობსონი

„მანჩესტერ იუნაიტედის“ ლეგენდარულმა კაპიტანმა კარიერა „მიდლსბროში“ დასრულა, სადაც მოთამაშე-მწვრთნელი იყო. ბურთის დევნას რომ შეეშვა, 40 წელს ათი დღე უკლდა.

2. გორდონ სტრაჩანი



ჟღალთმიანი სტრაჩანი პირველი პრემიერლიგელი ფეხბურთელი გახდა, რომელიც 40 წლის კიდევ თამაშობდა. ასაკის მიუხედავად, „ქოვენთრის“ მოთამაშე-მწვრთნელი გუნდის მთავარი კაცი იყო მოედანზე და ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ მის რეკორდს ვინმე მოხსნიდა.

1. ტედი შერინგემი



ტედი შერინგემს დრომ ვერაფერი დააკლო. ბრწყინვალე მეგოლემ კარიერაში ბოლო მატჩი 2006 წლის დეკემბერში „ვესტ ჰემში“ ითამაშა, როცა 41 წლამდე 95 დღე აშორებდა.

ვაჟა ხუციშვილი

არსენალი ინლერს უმიზნებს

ლონდონის „არსენალი“ „უდინეზეს“ გიოკჰან ინლერის სანაცვლოდ 5 მილიონ გირვანქას სთავაზობს. 24 წლის ნახევარმცველმა შვეიცარიის ნაკრების შემადგენლობაში ევრო 2008-ზე უკვე მოასწრო გამოსვლა და მასზე „მეთოფეების“ გარდა „ნიუკასლ იუნაიტედიც“ ნადირობს.

რივიჩმა და ციბიგმა გაახანგრძლივეს

„კოტბუსმა“ კონტრაქტი ერთბაშად ორ ფეხბურთელთან გაახანგრძლივა. ახალი ხელშეკრულებით, მცველი დანიელ ციბიგი კლუბში 2011 წლამდე დარჩება, ხოლო ხორვატი თავდამსხმელი სტეფან რივიჩი — 2012 წლამდე. გასულ სეზონში 22 წლის რივიჩმა გერმანულ კლუბში 28 მატჩი ჩაატარა და ორჯერ გამოიჩინა თავი, ხოლო 25 წლის ციბიგი მწვანე მინდორზე „კოტბუსის“ მაისურით 19-ჯერ გამოვიდა.

ტარნატი დაშავდა

ბუნდესლიგის „ჰანოვერის“ მცველმა მიხაელ ტარნატმა ბარძაყის მყესები გაიწყვიტა და სამი თვე ველარ ითამაშებს. მიუნხენის „ბაიერნში“ გამოსვლით ცნობილი ტარნატი წლეულს კარიერის დასრულებას აპირებდა, თუმც ბოლოს კიდევ ერთი სეზონით გადაწყვიტა დარჩენა. 38 წლის ფეხბურთელს ოპერაციის გაკეთება მოუწევს.

გაბონელი ნიცაში

ფრანგულმა „ნიცამ“ გაბონელ ერიკ მულუნგისთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. აქამდე მულუნგი „სტრასბურის“ შემადგენლობაში ირიცხებოდა, „ნიცაში“ კი „მარსელში“ გადაბარგებული ბაქარი კონეს შემცვლელად მოიაზრება. 24 წლის გაბონელმა „სტრასბურის“ შემადგენლობაში 101 მატჩი ჩაატარა და 17 გოლი გაიტანა.

დეპორმა კაჭკაჭებს აწყენინა

ესპანურმა „დეპორტივომ“ ინგლისური „ნიუკასლი“ უარით გაისტუმრა. „კაჭკაჭები“ გალისიელებს ფაბრიციო კოლოჩინიში 11 მილიონ ევროს სთავაზობდნენ. ესპანური პრესის ცნობით, „დეპორი“ 26 წლის არგენტინელს, სულ ცოტა, 12 მილიონ ევროდ თუ გაასხვისებს.

„დეპორტივოს“ უარს ვერაფრით ავხსნით. უბრალოდ, იმედგაცრუებულნი ვართ“ — აღიარა კოლოჩინის აგენტმა მარსელო ლომბილამ.

ბაპტიშტას რომში უნდა

მადრიდის „რეალის“ თავდამსხმელმა ჟულიუ ბაპტიშტამ „რომას“ ბრაზილიელ მოთამაშეებთან — სისინიოსა და დონისთან საუბრისას აღიარა, რომ „ჯალოროსიში“ გადასვლით არის დაინტერესებული. „მან ჩვენთან საუბრისას აღიარა, რომ „რომაში“ სურს თამაში“ — განაცხადა ერთ-ერთ ინტერვიუში სისინიომ.

მოსკოვიდან ბირმინგემში

ინგლისური „ბირმინგემი“ მოსკოვის „სპარტაკს“ კვინსი ოვუსუ-აბეიეს თაობაზე შეუთანხმდა. განელის ტრანსფერის თანხა 3,5 მილიონ გირვანქას შეადგენს. პერსონალური კონტრაქტის პირობების მოსაგვარებლად, კვინსი უახლოეს მომავალში ჩაფრინდება ბირმინგემში.

ლე მანმა ჰელსტადი იყიდა

ნორვეგიელი თავდამსხმელი ტორსტენ ჰელსტადი ფრანგული „ლე მანის“ რიგებში ჩაირიცხა. გასულ სეზონში ჰელსტადი „ბრანის“ შემადგენლობაში გამოდიოდა და 22 გატანილი გოლით ნორვეგიის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირიც გახდა. მიმდინარე ჩემპიონატში კი 12 თამაშში 11-ჯერ გამოიჩინა თავი.

ატლეტიკო სილვას დაუკავშირდა

დავიდ სილვას აგენტის ხულიო იორენტეს განცხადებით, მის კლიენტს მადრიდის „ატლეტიკომ“ წინადადებით მიმართა, მაგრამ თვითონ სილვას „ვალენსიაში“ სურს დარჩენა. მადრიდელებმა „ლამურებს“ ნახევარმცველის სანაცვლოდ 22 მილიონი ევროც კი შესთავაზეს. „ატლეტიკოს“ გარდა, სილვათი ესპანური და ინგლისური გრანდებიც გამოთქვამდნენ დაინტერესებას.

მპენზა ლანსში ან კიოლნში

ფრანგული „ლანსი“ და გერმანული „კიოლნი“ ემილ მპენზაზე ნადირობენ. უკანასკნელი კლუბი, რომელშიც ბელგიელი ირიცხებოდა, ინგლისური „მანჩესტერ სიტი“ იყო. „ქალაქელებთან“ კონტრაქტი გასული წლის ბოლოს ამოეწურა და „სიტის“ ხელმძღვანელობამ მასთან ახალი ხელშეკრულების დადება საჭიროდ აღარ ჩათვალა.

კმაყოფილი კარლო

ლონდონის „ჩელსის“ იტალიელ გოლკიპერ კარლო კუდიჩინის კლუბში შექმნილი მდგომარეობა სავსებით აკმაყოფილებს.

„ჩელსისთან“ კონტრაქტი კიდევ ერთი წლით მაკავშირებს. არ ვიცი, იქამდე რა მოხდება, დღეს კი ახალი სეზონისთვის ვემზადები და ყველაფრით კმაყოფილი ვარ“ — განაცხადა იტალიელმა, რომელიც „არისტოკრატებთან“ ერთად მოსკოვში, „რუსეთის რკინიგზის თასზე“ გაემგზავრება.

არჩილ კოტბახიძე

„ლივერპულის“ დამრიგებელი რაფაელ ბენიტესი და მისი ახალი შეგირდი რობი კინი

მე მეორე ვიქნები

ირლანდიის ნაკრების ფორვარდი რობი კინი „ტოტენჰემიდან“ „ლივერპულში“ გადავიდა და ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სხვადასხვა კლუბში თერთმეტწლიანი ხეტიალის შემდეგ ფეხბურთელის ოცნება ახდა.

„ლივერპულისთვის“ კინი ამ ზაფხულს მეხუთე შნაძენია ფილიპ დეგენის, ანდრეა დორენას, დიეგო კავალიერისა და დავიდ ნგონგას შემდეგ.

ირლანდიელისთვის „ლივერპული“ კარიერაში მეექვსე გუნდია. მან თამაში დუბლინის „კრამლინ იუნაიტედში“ დაიწყო, სადაც „ვულვერჰემპტონის“ სკაუტებმა ნახეს და 1997 წელს ბიჭი „მგლებში“ აღმოჩნდა. ორი სეზონი ითამაშა, მერე კი „ქოვენთრის“ მიაშურა, საიდანაც 2000-ში მილანის „ინტერმა“ წაიყვანა — 13 მილიონ გირვანქად შეიძინა.

„ინტერის“ მწვრთნელი მარჩელო ლიპი სეზონის დაწყებიდან მალე გადადგა და ირლანდიელი პრემიერლიგის „ლიდსმა“ ითხოვა. მერე ლიდსელებმა კინი გამოისყიდეს და რობიც 2002 წელს „ტოტენჰემში“ გადაბარგდა. ლონდონურმა კლუბმა 7 მილიონი გირვანქა გადაიხადა.

ფორვადი „ტოტენჰემში“ ექვსი სეზონის განმავლობაში დარჩა და ყველა ტურნირის 253 მატჩში 107 გოლი მიითვალა.

2006-07 წლებში რობი კინს საუცხოო სეზონი ჰქონდა და „ინტერის“ პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ აღიარა, რომ გუნდიდან ირლანდიელის გაშვება შეცდომა იყო.

კინმა კარიერაში პირველი ჯილდო წლეულს მოიგო — „ტოტენჰემმა“ „ჩელსი“ ინგლისის ლიგის თასის ფინალში დაამარცხა.

მისი სანაკრებო დებიუტი 1998-ში ჩეხებთან მატჩში შედგა, პირველი გოლი კი იმავე წელს მალტასთან გაიტანა.

„მიხარია, რომ ფერნანდო ტორესთან ერთად ვითამაშებ. ის წინა სეზონშიც ბრწყინვალე იყო და ევროპის ჩემპიონატზეც. მე რაც შემეხება, ვფიქრობ, „ლივერპულში“ მეორე თავდამსხმელი ვიქნები და ვიმედოვნებ, რომ არანაკლებ გოლს გავიტან, ვიდრე „ტოტენჰემში“ — განაცხადა კინმა, ხოლო ტოტენჰემელმა ფორვარდმა დარენ ბენტმა თანაგუნდელის წასვლაზე თქვა: „ეს ცუდი ამბავია ჩვენი კლუბისთვის. რობიმ აქ ექვსი დიდებული სეზონი გაატარა და მისი გოლები დაგვაკლდება, მაგრამ ამის გამო ყურები არ უნდა ჩამოვყაროთ“.

გაგა ხუციშვილი

ბორიელომ პალოსკი და ტორინო ჩაშალა



ალბერტო პალოსკი

მარკო ბორიელოს ტრავმის გამო, „მილანი“ ალბერტო პალოსკის „ტორინოში“ აღარ უშვებს. არადა, ახალგაზრდა თავდამსხმელის ტურინელთა რიგებში იჯარის წესით გადაბარგება ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო და დღე-დღეზე კონტრაქტიც უნდა გაფორმებულიყო.

„პალოსკი ჩვენთვის მთავარი სამიზნე იყო. ყველაფერზე შეთანხმებულნი ვიყავით, მაგრამ ბორიელოს ტრავმამ ვითარება შეცვალა. „მილანის“ გენერალუმა მენეჯერმა ადრიანო გალიანიმ დამირეკა და მითხრა, ამ ეტაპზე ტრანსფერი გამორიცხულიაო. „როსონერისთან“ ბრწყინვალე ურთიერთობა გვაქვს და ვნახოთ, რა მოხდება უახლოეს დღეებში. თუ პალოსკის ვარიანტი საბოლოოდ ჩაიშლება, სხვაზე მოგვიწევს ფიქრი“ — თქვა „ტორინოს“ პრეზიდენტმა ურბანო კაირომ.

ეს სხვა, შესაძლოა, ემპოლელი ნიკოლა პოცი ან „მანჩესტერ სიტის“ მიერ უარყოფილი როლანდო ბიანკი იყოს.

„მილანის“ მწვრთნელი კარლო ანჩელოტი: „სამწუხაროდ, ტრავმები ფეხბურთში ჩვეულებრივი ამბავია. ძალიან ცუდია, რომ ბორიელო დაშავდა, თან არც ფილიპო ინძაგი ბოლომდე ჯანზე. პალოსკი კი ჯერ მხოლოდ 18 წლისაა და წინ დიდი მომავალი აქვს. მის გაყიდვაზე არასოდეს გვიფიქრია, ალბათ არც გავანათხოვრებთ. ალბერტო რჩება და ამას მაინცდამაინც ბორიელოს ტრავმას ნუ დაუკავშირებთ. შევჩენკო? ვიცი, რომ მას „სამპდორიასაც“ უკავშირებდნენ, მაგრამ ვფიქრობ, თუ ანდრეი ოდესმე დაბრუნდება იტალიაში, მხოლოდ ჩვენს რიგებში. მომავალ სეზონში კი მას ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ“.

„სან სიროს“ ბინადართა ახალწვეული მატიე ფლამინი კი ოპტიმისტურადაა განწყობილი და მომავალ სეზონში „მილანის“ წარმატების გარდა არაფერს ელის.

„ჩვენი მთავარი მიზანი სერია A-ს მოგებაა. „როსონერიში“ სიამოვნებით გადმოვედი, ეს იოლად მისაღები გადაწყვეტილება იყო. „არსენალმა“ არჩევანის საშუალება ფაქტობრივად არ დამიტოვა. „მეთოფეების“ მიერ შემოთავაზებულ კონტრაქტს ვერ დავთანხმდებოდი, „მილანიც“ მყისვე დამიკავშირდა და თავი მნიშვნელოვან ფიგურად მაგრძნობინა. სხვა გუნდის წინადადება არც განმიხილავს. ახლა მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო კლუბში ვარ და ეს ჩემთვის დიდი პატივია. მინდა, „მილანის“ ისტორიაში ჩემი სახელი ჩავწერო. ძალიან გამიხარდა, რონალდინიო რომ დავიმატეთ. იგი ძალიან, გაგვაძლიერებს. ბრაზილიელი სულ ხუმრობს, გაღიმებული ვარჯიშობს და ფეხბურთისგან დიდ სიამოვნებას იღებს“ — თქვა 24 წლის ფრანგმა ნახევარმცველმა.

გიორგი ძაძაბაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავა? წავალ!



რამონ კალდერონი

მადრიდის „რეალი“ ხან ალთასაა, ხან ბალთას. ყიდულობენ თუ არა კრიშტიანუ რონალდუს, ვეღარ გაუგიათ. კლუბის პრეზიდენტმა რამონ კალდერონმა ბრძანა, რომ ამ ზაფხულს ან პორტუგალიელ ფეხბურთელს შეიძენს, ან არავის.

მისი თქმით, „რეალის“ ერთადერთი სამიზნე ახლა კრიშტიანუ რონალდუა, რაკი მანჩესტერელმა ალექს ფერგიუსონს აგრძნობინა, რომ მადრიდში გადასვლა სურს, კალდერონიც ამ სურვილს ჩაებღაუჭა და აღარ ეშვება.

ეს ჩახლართული ამბავი, შესაძლოა, ერთ კვირაში გაიხსნას. „რეალში“ ფიქრობენ, რომ საამისოდ რონალდუმ კიდევ ერთი ნაბიჯი უნდა გადადგას და პირდაპირ გაამხილოს „სამეფო კლუბში“ გადასვლის სურვილი. მეორე მხრივ, ზოგი რეალელი მიიჩნევს, რომ ფეხბურთელში 80 მილიონი დოლარის გადახდა სისულელეა.

მანჩესტერში კი ალექს ფერგიუსონი შფოთავს და კლუბის პატრონს მალკოლმ გლეიზერს უთხრა: „თუ რონალდუ წავა, მეც წავალ...“

ვაჟა ხუციშვილი

ჟოზე მაურინიუს ოცნების გუნდი

პორტუგალიელმა სპეციალისტმა ჟოზე მაურინიუმ კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ძალიან უნდა „ინტერში“ ფრენკ ლამპარდის მიყვანა და მასზე კარგი პროფესიონალი კარიერის განმავლობაში არ შეხვედრია. თუმცა, თავის საოცნებო თერთმეტეულში, რომელიც „განსაკუთრებულმა“ „ტელეგრაფს“ გაუმხილა, ლამპარდი არ შეუყვანია.

მაურინიუმ პრემერლიგის II ფეხბურთელი დაასახელა. აქედან სამი ლივერპულელი, სამი ის მოთამაშე, რომელთან ერთადაც „ჩელსიში“ უმუშავია და არცერთი „მანჩესტერ იუნაიტედის“ წევრი...

ჰენე რეინა (ლივერპული)

ბევრი ფიქრობდა, რომ მაურინიუ პეტრ ჩეხს დაასახელებდა, მაგრამ მიჯრით მესამე წელია, სწორედ ესპანელი დაასახელეს პრემიერლიგის საუკეთესო მეკარედ და არა ჩეხი.

ალან ჰატონი (ტოტენჰემი)

მარჯვენა მცველი, რომელიც შეტევაშიც კარგად ერთვება. პრემიერლიგაში ჯერ ბოლომდე ვერ გაიხსნა, მაგრამ „რეინჯერსში“ მისი შთამბეჭდავი თამაში კარგად გვახსოვს.

რიჯარდუ პარვალიუ (ჩელსი)

მაურინიუსთან ერთად „პორტუში“ მუშაობდა, სადაც პორტუგალიის ორი ჩემპიონატი, უეფას თასი და ჩემპიონთა ლიგა მოიგო. შემდეგ „განსაკუთრებულს“ „ჩელსიში“ გაჰყვა და იქ კიდევ 6 ტიტული მოიპოვა.

ვილიამ გალასი (არსენალი)

რთული ხასიათისა და დიდი ტალანტის მქონე მცველი „ჩელსის“ პრემიერლიგის მიჯრით ორჯერ მოგებაში დაეხმარა. „არსენალში“ გადასვლის მერე კი დაამტკიცა, რომ ადაპტაციაც უპრობლემოდ შეუძლია.

გარეთ ბეილი (ტოტენჰემი)

უელსელ მცველს მთელ მარცხენა ფლანგზე ძალუძს ბატონობა. იგი ჩინებულად ასრულებს სტანდარტებს. მისი ერთადერთი მინუსი ხშირი ტრავმიანობაა.

სტივენ ჯერარდი (ლივერპული)

გოლეადორ ნახევარმცველებს შორის სიაში მეორეა, „ლივერპულის“ სიმბოლო მხოლოდ კრიშტიანუ რონალდუს ჩამორჩება. მაურინიუ „ჩელსიში“ მის გადაყვანას 2005 წელს ცდილობდა, მაგრამ ჯერარდი „ენფილდზე“ დარჩა.

მორტენ გამსტ ჰედერსენი (ბლექბერნი)

როგორც ჩანს, „მაუ“ თავის სეზონია ბოსინგვას ეთანხმება, რომელმაც ნორვეგიელ შემტევ ნახევარმცველს პრემერლიგაში ყველაზე რთული და არასასურველი მეტოქე უწოდა.

ლასანა დიარა (პორტსმუთი)

ვერც „ჩელსიში“ ათამაშდა და ვერც „არსენალში“. თუმცა ჰარი რედნაპის „პორტსმუთში“ ბრწყინვალედ ჩაეწერა და „პომპეის“ ინგლისის თასის მოგებაში დაეხმარა.

მიჰაელ ესიენი (ჩელსი)

ჟოზეს სარეკორდო შენაძენი, რომელმაც მასში გადახდილი თანხა ნამდვილად გაამართლა. განელს ერთბაშად რამდენიმე პოზიციაზე შეუძლია თამაში და გოლების გატანაც ეხერხება.

ჯერმეინ დეფო (პორტსმუთი)

რედნაპის ხელში ჩვეული სათამაშო ფორმა აღიდგინა. მომავალ სეზონში კი საშუალება ექნება, პიტერ კრაუჩის მხარდამხარ ითამაშოს და საინტერესოა, რას შემოგვთავაზებს ეს წყვილი.

ფერნანდო ტორესი (ლივერპული)

პრემიერლიგის სადებიუტო სეზონის 29 მატჩში 24 გოლი გაიტანა, მეტი რაღა უნდა ვთქვათ? ესპანეთის ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში გერმანიას მისი გოლით მოუგო.

გიორგი კაკაბაძე

წყალში ვდგავარ, ფარისი მიკიდია

ანა ფარისი



კრიშტიანუ რონალდუ ამერიკიდან ინგლისში დაბრუნდა და ნაოპერაციები ფეხის მკურნალობას ჯერ ლისაბონში, მერე კი „მანჩესტერ იუნაიტედის“ ექიმებთან გაგრძობს.

ოკეანის გაღმა კი პორტუგალიელი ლოს ანჯელესში ისვენებდა და, როგორც ამბობენ, ერთ-ერთი სასტუმროს აუზში „ჩასახლდა“. სასტუმროს მავანმა თანამშრომელმა „სანს“ უამბო, რომ ფეხბურთელი ლამის აუზის აქსესუარად იქცა, რადგან დღედაღამ წყალში იჯდა. წყლის პროცედურები ნატკენი ფეხის მოსაშუშებლად ექიმმა დაუნიშნა, რონალდუმ კი ამ საქმეს სხვა პროცედურაც მიუმატა — თანამეაუზე გოგოებს თვალებით „პასებს“ აწვდიდა“. „სანის“ ინფორმატორმა თქვა: „რონალდუ ანა ფარისის მოჩანგვლას ცდილობდა (ამერიკელი მსახიობი „ძალიანს საშიში კინოდან“), რომელიც ორ მეგობართან ერთად ყავას მიირთმევდა. ფეხბურთელი წყალში იდგა და ანას მიშტერებოდა, მაგრამ ფარისმა ყურიც არ შეიბერტყა. ამის მერე რონალდუმ სხვა გოგო მოძებნა და იმას ეარშიყებოდა“.

ვაჟა ხუციშვილი

კაპიტანმა დაიფიცა

ვილიამ გალასი „არსენალის“ ფანებს ჰპირდება, რომ მომავალ სეზონში უკეთესი კაპიტანი იქნება.

შარშან, „ბარსელონაში“ ტიერი ანრის წასვლის შემდეგ, არსენ ვენგერმა კაპიტნის სამკლავური ვილიამ გალასს ანდო, რითაც ბევრი გააკვირვა.

„არსენალი“ ამჟამად ავსტრიაშია შეკრებაზე, ფრანგმა მცველმა კლუბის ტელევიზიასთან ინტერვიუში განაცხადა: „გასულ სეზონში ბევრი რამ ვისწავლე. მსურს, ყოველთვის სამაგალითო კაპიტანი ვიყო და თანაგუნდელებს რჩევები მივცე. სამწუხაროდ, შეცდომისგან დაზღვეული არავინაა. ახლა უკეთ ვიცი, როგორ მოვიქცე და ვის როგორ ვესაუბრო“.

„არსენალი“ გასულ ჩემპიონატში „მანჩესტერს“ ოთხი ქულით ჩამორჩა და მესამე ადგილზე გავიდა, ჩემპიონთა ლიგაში კი მეოთხედფინალში „ლივერპულთან“ დამარცხდა. ვილიამ გალასი ამბობს, რომ ამ სეზონში „მეთოფეები“ შინ თუ ევროპაში, კვლავაც ჯილდოებისთვის იბრძოლებენ.

„რაღაც აუცილებლად უნდა მოვიგოთ, რადგან სეზონის ბოლოს მთავარი მაინც ტიტულია. შარშან კარგად დავიწყეთ და ტრავმებმა გუნდი დაასუსტა, ახლა კი მხოლოდ ედუარდოა დაშვებული და გამარჯვების მეტი შანსი გვაქვს“ — აღნიშნა ფრანგმა მცველმა.

ვაჟა ხუციშვილი

კობოლი ჯილის აგრესიული ფილოსოფია



ფეხბურთისა და მოდის გზები დიდი ხანია, გადაიკვეთა. მაგალითად, „იუვენტუსს“ აქვს კონტრაქტი ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის მწარმოებელთან, ცნობილ ბრენდ DSquadred2-თან, რომლის შემქმნელებიც 1991 წელს კანადიდან მილანში გადაბარგებული ტყუპი ძმები დინ და დენ კეიტენები არიან. DSquadred2 რაღაცით ჰგავს „ბიანკონერის“. „ჩვენი სული ცოცხალი, ენერგიული, ცოტა თავდაჯერებული, ცოტა თავხედური და ამავე დროს „ირონიულია“ — თქვა დინ კეიტენმა. „ბებერი ქალბატონის“ პრეზიდენტი ჯოვანი კობოლი ჯილი საუბრობს, თუ რატომ აირჩია კლუბმა ასეთი ექსტრავაგანტული, სიურპრიზების მოყვარული, ცოტა ხულიგნური და პროვოკაციული ბრენდი. მან სხვა იუვენტუსურ ამბებთან ერთად ისიც თქვა, აგრესიულ სტილს ვირჩევთო

— რატომ მოხდა, რომ „ივენტუსი“ ესთეტიურად ისეთი თამამი ფილოსოფიის სუპერბრენდს დაუკავშირდა, როგორიც DSquadred2-ია?

— იმიტომ, რომ ეს ბრენდი ზუსტად ისეთებად წარმოგვაჩენს, როგორებიც ვართ. დღევანდელ „იუვენტუსს“ საერთაშორისო ტენდენციებისთვის ფეხის აბმა სურს, აქცენტის ახალგაზრდებზე, განსაკუთრებით კი იტალიელებზე გაკეთებით. ეს DSquadred2-ის სულსა და სტილს ასახავს. ჩვენი ახალგაზრდები გამორჩევისკენ და მინდორზე ბოლომდე დახარჯვისკენ მიისწრაფიან, მათ თავიანთი საბრძოლო ჟინის გამოჩენა სურთ.

— თქვენ გსურთ, მიზანს ნებისმიერი საშუალებით მიაღწიოთ და ამას ტანსაცმლითაც გამოხატავთ?

— ჩვენ ვამბობთ, რომ ცხოვრებაში ბევრი რამ იცვლება. „იუვეს“ სტილი ისეთი აღარ არის, როგორც 30 წლის წინ ჯამპიერო ბონიპერტის პრეზიდენტობისას. ახლა უფრო აგრესიულები ვართ. თუმცა ყურადღება მიაქციეთ, რომ არ დაგვიკარგავს ჩვენი კეთილშობილება და დახვეწილობა. ეს ყველაფერი და საოცრად მებრძოლი სული გუნდის სისხლშია. ამას ყველა ახალწვეული მყისვე ამჩნევს. მრავალი ათწლეულის განმავლობაში ვქმნით უმაღლესი კლასის კლუბს, რომელსაც თავისი, გამორჩეული სტილი აქვს და წესებს პატივს ვცემთ.

— და ეს ყველაფერი, კალჩოპოლის სკანდალის მიუხედავად, შენარჩუნდა?

— დიახ, რადგან ამ არასასიმოვნო პერიოდმა მხოლოდ მცირე ნალექი დატოვა. კალჩოპოლი ვერაფერს დააკლებდა „იუვენტუსის“ 111-წლიან ისტორიასა და ტრადიციებს.

— შეგიძლიათ, დასახელოთ ფეხბურთელები, რომლებიც ამ ახალ, აგრესიულ სტილს შეესაბამებიან? იქნებ ეს გუნდის ახალწვეული კრისტიან პოულსენია, რომელიც მოედნის ცენტრში ყველა ბურთისთვის იბრძვის?

— რასაკვირველია, იგი ერთ-ერთი გამორჩეულია ამ მხრივ. თუმცა, ამ წუთისთვის ყველაზე ხისტი და ნამდვილი მეომარი ჯორჯო კიელინია, რომელიც ზოგჯერ რაგბის მოთამაშის შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს. იგი უკვე ყურადღების ცენტრშია და რამდენიმე წლის მერე, შესაძლოა, გუნდის კაპიტანი გახდეს. ჯორჯო არც ლამაზია და არც მახინჯი, ცხოვრების ნორმალური სტილი აქვს, განსაკუთრებული ჩანართების გარეშე, ჰყავს მშვენიერი ოჯახი — ერთი სიტყვით, ეს მომავლის მოთამაშეა.

— არიან სხვა გმირებიც?

— რა თქმა უნდა. მაგალითად, ჯანლუიჯი ბუფონი, რომლითაც ყველა მოხიბლულია მისი კეთილშობილებისა და უშუალობის გამო. ალესანდრო დელ პიერო კი სერიოზულობისა და იშვიათი ნებისყოფის მაგალითია. „მილანში“ ჯენარო გატუზო გამოირჩევა — ნორმალური, სიმპათიური და ენამოსწრებული ადამიანია. ზუსტად ისეთი, როგორებიც მხოლოდ სამხრეთელები არიან. ამავე დროს, რინო დისციპლინის მოყვარულია. ყველა მათგანი დადებითი და მისაბაძი ფიგურაა. მათ დიდი გზა გაიარეს და ბევრი იშრომეს, რათა წარმატებისთვის მიეღწიათ. დღეს ყველა ფეხბურთელმა იცის, რომ დაახლოებით ათი წელი აქვს წარმატების, პატივისცემისა და სიყვარულის მოპოვებისთვის.

რობინიო

ლონდონის „ჩელსის“ რობინიოს შეძენა არ გამოსდის. საკმაო ხანია, ინგლისური კლუბი მოლაპარაკებას მართავს „რეალთან“ და მადრიდელებს ჯერ 25 მილიონი გირვანქა შესთავაზა, მერე — 27 მილიონი, მაგრამ არაფერი გამოვიდა, სამეფო გუნდი ყოველ ჯერზე ზრდის ფასს.

გავრცელებული ცნობით, „რეალის“ პრეზიდენტი რამონ კალდერონი ბრაზილიელში ახლა უკვე 30 მილიონ გირვანქას ითხოვს, პლუს ბონუსებს იმის მიხედვით, თუ როგორი წარმატებით ითამაშებს

სკოლარის აზრი ჩინეთმა შეუცვალა

რობინიო მომავალ სეზონში.

თავად რობინიო კი „რეალთან“ ერთად ავსტრიულ შეკრებაზეა და მშვენივრად გამოიყურება. ამბობენ, მას ძალიან უნდა „ჩელსიში“ გადასვლა. ლონდონელებს ამ ზაფხულიდან ლუიშ ფელიპე სკოლარი წვრთნის, ანუ კაცი, რომელმაც მას პირველად უხმო ეროვნულ ნაკრებში. თუმცა მადრიდელთა მწვრთნელ ბერნდ შუსტერს სხვა გეგმები აქვს.

„რობინიო უნდა დარჩეს. ის ჩვენს გეგმებში შედის. გასულ სეზონში მის მიერ გატანილი გოლები ვნახეთ და დავრწმუნდით, რომ გუნდისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფიგურაა და გვჭირდება“ — თქვა შუსტერმა.

სკოლარის რობინიოს ყიდვა იმიტომ უნდოდა, რომ განაცხადა, იმ გარემარბებით კმაყოფილი არ ვარ, რომლებიც გუნდში უკვე მყავსო. ამიტომ შონ რაიტ-ფილიპსს უთხრეს, კლუბის გამოცვლა შეგიძლია, თუ სათანადო წინადადება მივიღეთ, გაგიშვებთო. თუმც, როგორც ჩანს, ბრაზილიელმა სპეციალისტმა მასზე აზრი შეიცვალა და რაიტ-ფილიპსი „სტემფორდ ბრიჯზე“ დარჩება.

ჩინურ შეკრებაზე რაიტ-ფილიპსმა ორი მატჩი ბრწყინვალედ ჩაატარა და სკოლარიზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. ამიტომ, ახლა ნაკლებ სავარაუდოა, „ჩელსი“ მას შეელიოს და ალბათ „პორტსმუთის“ წინადადებებს უარით გაისტუმრებს.

გიორგი ძაძაგაძე

მწვრთნელიც ასეთი უნდა...

მანუელ პელეგრინი

ესპანური „ვილიარეალის“ მწვრთნელმა მანუელ პელეგრინიმ ორიგინალური ხერხით გადაუხადა მადლობა თავის შეგირდებს გასულ სეზონში კარგი თამაშისთვის. შეგახსენებთ, რომ „ყვითელები“ პრიმერადივიზიონში მეორე ადგილზე გავიდნენ და ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის საგზური მოიპოვეს, ისინი ჩემპიონ „რეალს“ ჩამორჩნენ და ჩამოიტოვეს „ბარსელონა“.

პელეგრინიმ თავისი ფულით ერთ-ერთი პრესტიჟული მარკის, ძვირადღირებული კაბრიოლეტი იყიდა და გუნდში ერთგვარი ლატარეა ჩაატარა. ვინც მომგებიან ბილეთს აიღებდა, შესაბამისად, ის ხდებოდა მანქანის მფლობელიც.

ყველაზე იღბლიანი თურქი ნიჰათ ქაჰვეჩი გამოდგა, რომელიც ნავატეში შეკრებაზე მყოფ კლუბს შეუერთდა. ასე რომ, ნიჰათს შეუძლია, ახალი ავტომობილით დატკბეს, მაგრამ ფეხბურთით ტკბობა მას კიდევ გარკვეული პერიოდი არ გამოუვა, რადგან ევროპის ჩემპიონატზე მიღებულ ტრავმას მკურნალობს.

კოკი კანდელაკი

სავიოლა წამს ელის, დე ლა რედი — ბირმინგემს

ხავიერ სავიოლას მადრიდის „რეალში“ დარჩენა სურს, კლუბი კი მისი გაყიდვის წინააღმდეგი არაა.

არგენტინელი ფორვარდი ბარსელონიდან მადრიდში შარშან გადავიდა, მაგრამ უმეტესად სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ბერნდ შუსტერის ხელში მას ხშირად თამაშის შანსი არ ექნება. „ჯერჯერობით „რეალში“ ვარ, მაგრამ ფეხბურთის სამყაროში ვითარება შეიძლება ერთ წამში შეიცვალოს — თქვა სავიოლამ — ამჟამად მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, რომ სეზონისთვის უკეთ მოვემზადო, მერე კი ვნახოთ“.

ბრიტანულ მედიაში კი „ასტონ ვილასგან“ რუბენ დე ლა რედისადმი ინტერესზე წერენ. „რეალის“ ნახევარმცველი გასულ სეზონში „ხეტაფეში“ იყო განათხოვრებული. ბირმინგემულ კლუბს მადრიდულისთვის ცხრა მილიონი გირვანქა შეუთავაზებია და პასუხს ელის. „სასიამოვნოა, რომ ჩემით პრემიერლიგის გუნდი დაინტერესდა — განაცხადა დე ლა რედმა — ეს ნიშნავს, რომ ურიგოდ არ ვთამაშობ და ყურადღებას ვიმსახურებ, რაც მოტივაციას მმატებს. მე მომწონს პრემიერლიგა და ისიც, თუ როგორ უყვართ ინგლისში ფეხბურთი.

გაჟა ხუციშვილი

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		2 აგვისტო						
18:00	50	კლაიდი-მორტონი	2.20	3.50	2.60	1.35	1.19	1.49
18:00	51	პარტიკი-დანფერმლაინი	2.25	3.50	2.50	1.36	1.18	1.45
18:00	52	ქუინი-ეირდრი	1.55	3.75	4.50	1.09	1.15	2.04
18:00	53	როსი-დანდი	2.50	3.50	2.25	1.45	1.18	1.36
18:00	54	სტ.ჯონსტონი-ლივინგსტონი	1.65	3.60	4.00	1.13	1.16	1.89
		შოტლანდია. II დივიზიონი						
		2 აგვისტო						
18:00	55	არბროთი-ალოა	2.50	3.40	2.30	1.44	1.19	1.37
18:00	56	ეარი-რეითი	2.20	3.50	2.60	1.35	1.19	1.49
18:00	57	ბრეჩინი-სტირლინგი	2.10	3.50	2.75	1.31	1.19	1.53
18:00	58	ისტ ფაიფი-პიტერჰედი	1.90	3.40	3.25	1.21	1.19	1.66
18:00	59	ქუინზ პარკი-სტრანრარი	2.10	3.50	2.75	1.31	1.19	1.53
		შოტლანდია. III დივიზიონი						
		2 აგვისტო						
18:00	60	ალბიონი-ფორფარი	2.35	3.50	2.35	1.40	1.17	1.40
18:00	61	ბერიკი-ისტ სტირლინგი	1.90	3.50	3.20	1.23	1.19	1.67
18:00	63	დამბარტონი-მონტროუზი	1.85	3.50	3.40	1.21	1.19	1.72
18:00	64	სტენჰაუსმუირი-ელგინი	1.75	3.60	3.75	1.17	1.19	1.83
		ავსტრია. ბუნდესლიგა						
		1 აგვისტო						
22:30	67	მატერსბურგი-ალტახი	1.60	3.50	5.00	1.09	1.21	2.05
		2 აგვისტო						
21:30	68	რაპიდი-კაფენბერგი	1.30	4.30	8.50	1.00	1.12	2.85
		3 აგვისტო						
21:30	65	ზალცბურგი-ლინცერი	1.35	4.20	7.25	1.02	1.13	2.65
		ავსტრია. I დივიზიონი						
		1 აგვისტო						
20:00	70	ლუსტენაუ-აუსტრია(მ)	1.60	3.30	5.30	1.07	1.22	2.03
20:00	71	ვოკლაბრიუკი-ნეუსტადი	3.80	3.30	1.80	1.76	1.22	1.16
20:00	72	გრატკორნი-ზალცბურგი მ	2.20	3.20	2.80	1.30	1.23	1.49
20:00	73	ადმირა-აუსტრია ლუსტენაუ	2.00	3.20	3.30	1.23	1.24	1.62
20:00	75	ლეობენი-სტ.პოლტენი	2.30	3.20	2.70	1.33	1.24	1.46
		2 აგვისტო						
19:00	74	ინსბრუკი-გროდიგი	1.40	4.00	6.30	1.03	1.14	2.44
		შვეიცარია. სუპერლიგა						
		30 ივლისი						
21:45	15	გრასჰოპერი-სიონი	1.85	3.20	3.80	1.17	1.24	1.73
		რუსეთი. პრემიერლიგა						
		30 ივლისი						
18:00	16	კრილია-სატურნი	1.80	2.90	4.50	1.11	1.28	1.76
19:00	89	ცსკა-ზენიტი	2.45	2.80	2.80	1.30	1.30	1.39
		დანია. სუპერლიგა						
		2 აგვისტო						
19:00	140	ვეილე-ოლბორგი	3.75	3.35	1.85	1.76	1.23	1.19
		3 აგვისტო						
18:00	139	ესბიერგი-ნორდსიელანდი	1.85	3.45	3.60	1.20	1.22	1.76
16:00	141	მიდტიულანდი-ჰორსენსი	1.50	3.70	5.75	1.06	1.18	2.25
19:30	142	ბრიონდბიუ-რანდერსი	1.60	3.60	5.00	1.10	1.21	2.09
18:00	143	ოდენსე-ორჰუსი	1.35	4.10	7.50	1.01	1.14	2.65
		4 აგვისტო						
21:00	144	სონდერიისკე-კოპენჰაგენი	8.00	4.70	1.30	2.96	1.11	1.01
		შვედეთი. სუპერეტა						
		30 ივლისი						
20:00	178	იორგრიტე-იონკოპინგი	1.35	3.90	5.70	1.00	1.09	2.31
21:00	179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	2.10	3.20	3.00	1.26	1.23	1.54

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ფინეთი. ვეიკაუსლიგა						
		30 ივლისი						
19:30	189	ტურკუ-კუოპიო	1.25	4.70	9.50	1.00	1.10	3.14
		ირლანდია. პრემიერ დივიზიონი						
		1 აგვისტო						
23:00	209	ფინ ჰარპსი-გალვეი	2.00	3.20	3.20	1.23	1.23	1.60
22:45	210	ბოჰემიანი-კობი	1.35	4.30	7.00	1.02	1.13	2.66
22:45	211	დერი-შემროკი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
22:45	212	დროგედა-ბრეი	1.60	3.50	4.50	1.09	1.18	1.96
		2 აგვისტო						
23:00	213	სლიგო-კორკი	2.85	3.00	2.25	1.46	1.25	1.28
		3 აგვისტო						
18:00	208	დუბლინი-სტ.პატრიკსი	3.50	3.20	1.90	1.67	1.23	1.19
		ბრაზილია. ჩემპიონატი						
		31 ივლისი						
04:50	232	ფიგეირენსე-სან პაულუ	2.45	3.10	2.50	1.36	1.23	1.38
04:50	233	პალმეირასი-ფლამენგო	1.80	3.40	3.75	1.17	1.21	1.78
02:30	234	ვიტორია-ატლეტიკო პრ	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
02:30	235	კრუზეირო-ნაუტიკო	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
03:30	236	პორტუგესა-ფლუმინენსე	2.20	3.25	2.85	1.31	1.24	1.51
03:30	237	ბოტაფოგო-გოიასი	1.50	3.75	5.50	1.07	1.17	2.22
04:50	238	ინტერნასიონალი-სანტოსი	1.55	3.75	5.00	1.09	1.18	2.14
		1 აგვისტო						
03:30	239	ვასკუ და გამა-ატლეტიკო მნ	1.90	3.40	3.50	1.21	1.23	1.72
03:30	240	სპორტ რისიფე-იპატინგა	1.40	4.00	7.00	1.03	1.16	2.54
03:30	241	კურიტიბა-გრემიო	2.10	3.25	2.85	1.27	1.20	1.51
		უეფა. ჩემპიონთა ლიგა						
		30 ივლისი						
22:00	1	ბეითარი-ვისლა	1.90	3.20	3.25	1.19	1.19	1.61
22:00	2	ფენერბაჩე-მტკ	1.10	7.50	12.50	1.00	1.01	4.68
22:30	3	ანდერლეხტი-ბატე	1.15	6.20	11.00	1.00	1.04	3.96
22:00	6	ოლბორგი-მოდრიცა	1.30	4.70	8.50	1.01	1.12	3.02
20:00	7	ტამპერე-პეტრჟალკა	2.05	3.20	2.90	1.24	1.20	1.52
22:30	8	ანორთოსისი-რაპიდი	2.40	3.20	2.55	1.37	1.23	1.41
22:45	9	დომჟალე-დინამო ზაგრები	3.50	3.10	1.90	1.64	1.23	1.17
22:15	10	გიოტებორგი-ბაზელი	2.30	3.00	2.75	1.30	1.25	1.43
21:00	11	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	3.60	3.20	1.95	1.69	1.26	1.21
22:45	13	რეინჯერსი-კაუნასი	1.10	7.00	12.50	1.00	1.01	4.48
		საერთაშორისო. ამხანაგური მატჩები						
		30 ივლისი						
22:00	321	როტერჰემი-როვერსი	2.50	3.40	2.25	1.44	1.18	1.35
22:00	322	ვიტესი-აბერდინი	1.95	3.40	3.00	1.23	1.18	1.59
22:30	323	იორკი-ჰარტლპული	3.00	3.40	2.00	1.59	1.20	1.25
22:30	324	მოზერუელი-პრესტონი	2.20	3.40	2.60	1.33	1.19	1.47
22:45	325	ბაროუ-მორიკომბი	2.60	3.40	2.20	1.47	1.19	1.33
22:45	326	ბრედფორდი-ბარნსლი	2.80	3.40	2.05	1.53	1.18	1.27
22:45	327	ლეიტონი-ტოტენჰემი	7.00	4.30	1.35	2.66	1.13	1.02
22:45	328	ნოტინგემი-სანდერლენდი	3.00	3.40	1.95	1.59	1.18	1.23
22:45	329	დონსი-უოტფორდი	2.40	3.40	2.40	1.40	1.20	1.40
23:30	330	ვილიარეალი-ლივერპული	2.35	3.25	2.50	1.36	1.21	1.41
		ნორვეგია. თასი						
		30 ივლისი						
20:00	17	ბოდიო გლიმტი-ჰაუგესუნდი	1.35	4.30	7.40	1.02	1.14	2.71
20:00	18	სტარტი-ოდ გრენლანდი	2.30	3.30	2.65	1.35	1.23	1.46
20:00	19	ფრედრიკსტადი-ლოვ ჰამი	1.25	4.80	7.90	1.00	1.07	2.98
20:00	20	სოგნდალი-სტაბეკი	4.90	3.70	1.55	2.10	1.17	1.09
20:00	21	ალესუნდი-ლინი	2.50	3.20	2.50	1.40	1.25	1.40

I ტაიმის შედეგი

		1	X	2	1-X	1-2	X-2
10001	ბეითარი-ვისლა	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28
10006	ოლბორგი-მოდრიცა	1.40	2.70	7.00	1.00	1.16	1.94
10007	ტამპერე-პეტრჟალკა	2.65	2.00	3.30	1.13	1.46	1.24
10008	ანორთოსისი-რაპიდი	3.20	2.00	2.75	1.23	1.47	1.15
10009	დომჟალე-დინამო ზაგრები	3.90	2.00	2.25	1.32	1.42	1.05
10010	გიოტებორგი-ბაზელი	2.70	2.00	3.20	1.14	1.46	1.23
10011	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	4.00	2.00	2.30	1.33	1.46	1.06
10178	იორგრიტე-იონკოპინგი	1.80	2.20	6.00	1.00	1.38	1.60
10179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	2.50	2.00	3.60	1.11	1.47	1.28

I ტაიმი/ძირითადი დრო

		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
11001	ბეითარი-ვისლა	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30
11006	ოლბორგი-მოდრიცა	1.55	15.00	30.00	3.40	4.80	12.00	20.00	11.00	11.00
11007	ტამპერე-პეტრჟალკა	3.40	10.00	20.00	4.40	4.40	5.00	20.00	10.00	4.60
11008	ანორთოსისი-რაპიდი	4.00	10.00	20.00	4.80	4.40	4.40	20.00	10.00	3.60
11009	დომჟალე-დინამო ზაგრები	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11010	გიოტებორგი-ბაზელი	3.50	10.00	20.00	4.40	4.40	5.30	20.00	10.00	4.40
11011	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	5.30	10.00	20.00	6.00	4.40	4.00	20.00	10.00	3.00
11178	იორგრიტე-იონკოპინგი	1.85	12.00	25.00	3.50	4.60	10.00	20.00	10.00	10.00
11179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	3.00	10.00	20.00	4.00	4.40	6.00	20.00	10.00	5.30

გოლი:ლუწი-1თუ კენტი-2
(0:0 ითვლება ლუწად)

17001	ბეითარი-ვისლა	1.85	1.95
17006	ოლბორგი-მოდრიცა	1.85	1.95
17007	ტამპერე-პეტრჟალკა	1.85	1.95
17008	ანორთოსისი-რაპიდი	1.85	1.95
17009	დომჟალე-დინამო ზაგრები	1.85	1.95
17010	გიოტებორგი-ბაზელი	1.85	1.95
17011	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	1.85	1.95
17178	იორგრიტე-იონკოპინგი	1.85	1.95
17179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	1.85	1.95

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

14001	ბეითარი-ვისლა	1.75	2.10
14006	ოლბორგი-მოდრიცა	1.08	2.90
14007	ტამპერე-პეტრჟალკა	1.80	2.00
14008	ანორთოსისი-რაპიდი	2.00	1.80
14009	დომჟალე-დინამო ზაგრები	2.20	1.70
14010	გიოტებორგი-ბაზელი	1.80	2.00
14011	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	2.20	1.70
14178	იორგრიტე-იონკოპინგი	1.20	2.60
14179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	1.75	2.10

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
15001	ბეითარი-ვისლა	3.00	2.80	2.00
15006	ოლბორგი-მოდრიცა	3.00	2.80	2.00
15007	ტამპერე-პეტრჟალკა	3.00	2.80	2.00
15008	ანორთოსისი-რაპიდი	3.00	2.80	2.00
15009	დომჟალე-დინამო ზაგრები	3.00	2.80	2.00
15010	გიოტებორგი-ბაზელი	3.00	2.80	2.00
15011	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	3.00	2.80	2.00
15178	იორგრიტე-იონკოპინგი	3.00	2.80	2.00
15179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	3.00	2.80	2.00

ფრეს გარეშე (ძირითადი დრო)

16001	ბეითარი-ვისლა	1.50	2.30
16006	ოლბორგი-მოდრიცა	1.05	5.70
16007	ტამპერე-პეტრჟალკა	1.58	2.10
16008	ანორთოსისი-რაპიდი	1.95	1.65
16009	დომჟალე-დინამო ზაგრები	2.40	1.45
16010	გიოტებორგი-ბაზელი	1.62	2.05
16011	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	2.45	1.40
16178	იორგრიტე-იონკოპინგი	1.12	4.60
16179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	1.50	2.30

რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

			ნაკ.	მეტ.
12001	ბეითარი-ვისლა	2,5	1.60	2.00
12006	ოლბორგი-მოდრიცა	2,5	1.90	1.70
12007	ტამპერე-პეტრჟალკა	2,5	1.60	2.00
12008	ანორთოსისი-რაპიდი	2,5	1.60	2.00
12009	დომჟალე-დინამო ზაგრები	2,5	1.70	1.90
12010	გიოტებორგი-ბაზელი	2,5	1.70	1.90
12011	შერიფ ტირასპოლი-სპარტა	2,5	1.70	1.90
12178	იორგრიტე-იონკოპინგი	2,5	2.00	1.60
12179	ანგელჰოლმი-ბუნკეფლო	2,5	1.90	1.70

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

ქმრებს მონატრებული საქა-რთველო

პეკინის ოლიმპიადის ბოლო ლიცენზია საქართველოს ბრაზილიელებმა საქამ და რთველომ მოუტანეს. პლაჟის ფრენბურთელებმა საფრანგეთის ზღვისპირა ქალაქ მარსელში გამართულ სალიცენზიო ტურნირზე იყოჩაღეს და გერ-გიას მსგავსად ოლიმპიადაზე ჩვენი ქვეყნის ღირსებას დაიცავენ. რაღა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც ორიოდე დღის წინ გამართული კენჭისყრის მერე გოგონები ს ჯგუფში უძლიერეს მეტოქეებს გადაეყარნენ. ბრაზილიელი ჯულიანა და ლარისას წყვილის გარდა, მათი მოწინააღმდეგეები ავსტრალიელები, ბარნეტი-კუკი და რუსები, შირიავეა-ურიადოვა იქნებიან.

ახლა, როცა ოლიმპიადის დაწყებამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები დარჩა, ბრაზილიელ ქართველებთან ინტერვიუ ორმაგად საინტერესოა. საქა და რთველო თანამემამულე გეორ-გიას მსგავსად ხომ ქართული სპორტის ისტორიაშიც შევიდნენ ისინი პირველები არიან, სათამაშო სახეობაში ჩვენი ქვეყნის სახელით რომ გამოვლენ ოლიმპიადაზე. კრისტინა (საქას) და ანდრეზა (რთველოს) ჯერ ის ვკითხეთ, რამ გადააწყვეტინათ საქართველოს სახელით გამოსვლა...

ფოტო მარსელიდან: კრისტინა და ანდრეზა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან ლევან ახვლედიანთან ერთად

— *რთველო:* როდესაც საქართველო დამოუკიდებელი გახდა, საშუალება მოგვეცა, უფრო მეტი გაგვეგო თქვენი ქვეყნის შესახებ. ვიცოდით, რომ კარგი ქვეყანა იყო თავისი ტრადიციებით, კულტურით, სტუმარმასპინძლობის განთქმული წესებით. ამას ისიც დაემატა, რომ მუდმივად დავდიოდით გეორ და გიას თამაშებზე, ვხედავდით, თუ როგორი მონდომებით და ჟინით იბრძოდნენ მთელი მატჩის განმავლობაში და იგივეს გაკეთების სურვილი გაგვჩნდა. გადაწყიტეთ, ლევან ახვლედიანისთვის გაგვენდო ჩვენი მოსაზრება, მან კი გვითხრა, რომ საქართველოს პრეზიდენტის ბრძანება იყო საჭირო, რომ საქართველოს მოქალაქეობა მიგვეღო. პრეზიდენტმა კეთილი ნება გამოიჩინა და საქართველოს მოქალაქეობა მოგვცა.

— *საქა:* ძალიან გაგვიხარდა პრეზიდენტის გადაწყვეტილება. მე ვეთანხმები ჟორჟს, იგივე გიას როდესაც ამბობს: ჩვენ ბრაზილიელები სამშობლოში ვართ, თორემ ისე, საზღვარგარეთ ქართველებიო. დამერწმუნეთ, მართლა ასე ვფიქრობთ.

— **გეორ და გია საქართველოში უკვე იყვნენ. თქვენ არ ფიქრობთ, რომ ჩვენს ქვეყანას ესტუმროთ?**

— *რთველო:* რა თქმა უნდა, ვაპირებთ საქართველოში ჩამოსვლას. ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, ოლიმპიადაზე როგორ გამოვალთ. თუ მივხვდებით, რომ ბოლომდე დავიხარჯეთ, გამარჯვებისთვის მაქსიმუმი გავიღეთ და საქართველოს წინაშე ვალმოხდილები ვართ, მაშინ ეს უფრო ადვილი იქნება. ჩვენც სწორედ ამის იმედი გვაქვს, რადგან პეკინში არაფრის დათმობას არ ვაპირებთ.

— ოლიმპიადის ლიცენზია მარსელში ბოლო მომენტში მოიპოვეთ. ამის გამო ხომ არ ნერვიულობდით?

— *საქა:* ვნერვიულობდით. უდიდესი წნეხის ქვეშ ვიყავით. ბოლო ექვს ტურნირზე ეს კიდევ უფრო გვეტყობოდა. რეიტინგების ნახვა არ გვინდოდა ხოლმე, მაგრამ ჩვენც ადამიანები ვართ და ძნელია, ემოციებს არ აყვე...

— *რთველო:* მართლა დიდი გამოცდილება მაქვს. ბევრი მაღალი დონის ტურნირი მითამაშია უმაღლეს ვარსკვლავებთან ერთად, მაგრამ მარსელში ისე ვნერვიულობდი, ცრემლები ვერ შევიკავე. ესპანელებს ვეთამაშებოდით, რომლებიც მანამდე რამდენჯერმე დაგვემარცხებინა და სერიოზულ ძალასაც არ წარმოადგენენ, მაგრამ ასე გამოვიდა და 2:1 წავაგეთ. საბედნიეროდ, მერე ყველაფერი სასიკეთოდ დამთავრდა, ლიცენზია მოვიპოვეთ.

— ქართველი გულშემატკივარი რას უნდა ელოდს თქვენგან პეკინში?

— *საქა:* ჩვენი მიზანი ყოველთვის გამარჯვებაა. მნიშვნელობა არ აქვს, ვის ვეთამაშებით. პეკინშიც მოსაგებად მივდივართ, არაფერს დავაკლებთ და ვნახოთ, რა გამოვა. უდიდეს პასუხისმგებლობას ვგრძნობთ ქართველი ხალხის წინაშე და ამის გამო საკუთარი თავის მიმართ უფრო მომთხოვნები გავხდით.

— *რთველო:* გავიგეთ, რომ საქართველოს პრეზიდენტი ოქროს მედალოსნებს მილიონ ლარს დაჰპირდა. ესეც დამატებითი სტიმული იქნება ჩვენთვის — მართალია, არა გადამწყვეტი, მაგრამ მნიშვნელოვანი. მაქსიმალურად დავიხარჯებით იმისთვის, რომ მედლებისთვის ბრძოლა შევძლოთ და ქართველი ხალხი გავახაროთ.

— ოჯახში როგორ ეგუებიან იმ ფაქტს, რომ მუდმივად სხვაგან გიწევთ ყოფნა?

— *საქა:* ჩემი მეუღლე, ჰარლი მარკესი ძირითადად ჩემთანაა. ისიც ფრენბურთელია, ხშირად ტურნირებზე ერთად გვიწევს ყოფნა. ისე, ოჯახთან მუდვივი კონტაქტი გვაქვს ინტერნეტით, სკაიპით და ხშირი მოგზაურობა დიდ პრობლემასაც არ წარმოადგენს.

— *რთველო:* მას მერე, რაც მამა ცუდად გახდა, ჩემი მეუღლე ველარ დამყვება. ბიზნესს, რომელსაც მამამისი აწარმოებს, ყურადღების მიქცევა უნდა.

— **გეორ-გიასთან როგორი ურთიერთობა გაქვთ?**

— *საქა:* კარგი. ისინი ხომ ჩვენი სამშობლოდან არიან. ხშირად დავდივართ მათ თამაშებზე და ვგულშემატკივრობთ. იგივეს აკეთებენ ისინიც, თან ერთი საქმე გვაქვს და ჩვენც და ისინიც ერთი ქვეყნის სახელით გამოვდივართ.

— **რა იცით საქართველოს შესახებ. ინტერნეტში თუ ეძებთ მასალებს ჩვენს ქვეყანაზე?**

— *რთველო:* როდესაც ვმოგზაურობდით, ხალხისგან ყოველთვის გვესმოდა, რომ საქართველო განთქმული ღვინის ქვეყანაა. ასეთ ღვინოს მსოფლიოში ვერსად დალევო. ვიცით, ის, რომ ულამაზესი სამშობლო გაქვთ. ძალიან ბევრი ისტორიული ძეგლია, შესანიშნავი ბუნება, მთები. მანდ ჩამოსულ ტურისტს შეუძლია, რომ რამდენიმე საათის ინტერვალში ზღვაზე იბანაოს და თხილამურებით ისრიალოს.

— *საქა:* ქართველებს და ბრაზილიელებს ბევრი რამ გვაქვს საერთო — ჟინი, მონდომება, მინდა, რომ საქართველოში პლაჟის ფრენბურთი განვითარდეს და დარწმუნებული ვარ, ასეც იქნება, უბრალოდ ამ ყველაფერს დრო სჭირდება. ჩვენ რაც შეგვეძლება, ყველანაირად დაგეხმარებით. მანდ ჩამოვალთ, ახალგაზრდებს ვავარჯიშებთ, ზოგს სულაც ბრაზილიაში წავიყვანთ იმისთვის, რომ უკეთ აითვისონ ეს სპორტი. თანაც ძალიან გვინდა გეორ-გიასავით პირადად ვნახოთ საქართველო.

საქა

რთველო

ლეჭსო მაისურაძე

ლაბაძეს ორი სეტი ეყო

30-ათასიან ტურნირზე, ავსტრიაში ირაკლი ლაბაძემ ძირითადი ბადის პირველი წრის დაძლევა შეძლო. ლაბაძემ პოლონელი მიხალ პრზეიშიეზნი ორი სეტის ჯამში დაჯაბნა — 6:3 6:3. მომდევნო მატჩს ქართველი მეჩოგნე ჩეხეთის წარმომადგენელ, მე-7 ნომრად განთესილ ირჟი ვანეკთან გამართავს. თავის მხრივ ვანეკმა ბელგიელ ილიკ ნორმანი ორ სეტში დაამარცხა — 6:3 6:2.

თავიდანვე პირველ ნომრებად განთესილთაგან ავსტრიულ ტურნირს მე-3 ნომერი არგენტინელი სერხიო როიტენი და მე-6 ნომერი ესპანელი პაბლო ანდაჯერი შემორჩნენ.

ზურაბ მიგრიაული

კალაშნიკოვამ ტეპლიაკოვა გაისროლა შაფათავას სლოვაკი ელის

ოქსანა კალაშნიკოვამ დნეპროპეტროვსკში მიმდინარე 50 ათასიან ტურნირზე საკვალიფიკაციოდან ძირითად ბადეში გააღწია. ამისთვის ოქსანას ტურნირზე მე-5 ნომრად განთესილი უკრაინელი ოქსანა ტეპლიაკოვას დამარცხება დასჭირდა და ეს საკმაოდ ადვილადაც მოახერხა — 6:1 6:2. ძირითად ბადეში კალაშნიკოვა ესტონელ მარგიტ რუუტელს ეთამაშება.

ამავე ტურნირზე ძირითად ბადეში პირდაპირ იყო დაშვებული მეორე ქართველი ჩოგბურთელი სოფო შაფათავა. იგი თავის შეხვედრას სლოვაკ ვერკა ვენეროვასთან ჩაატარებს.

ზურაბ მიგრიაული

ჩახნაშვილი წყვილებს შემორჩა

საქართველოს პირველი ჩოგანმა მაკა ჩახნაშვილმა იტალიის ქალაქ რიმინიში მიმდინარე ტურნირის პირველი წრიდანვე გამოეთიშა. ჩახნაშვილმა 3:6 0:6 წააგო გერმანელ ანა-ლენა გრონეფილდთან და ერთეულთა შეჯიბრებას გამოემშვიდობა. სამაგიეროდ, მაკას და უნგრელი ნაგის ტანდემმა წყვილთა ჩოგნაობაში მასპინძლებს, კაჩიტოსა და მასჩერინის დუეტს, 6:1 6:1 მოუგო და მეოთხედფინალს უწია.

იმასაც, გეტყვით, რომ იტალიურ ტურნირის საპრიზო ფონდი 74 ათასი აშშ დოლარია.

ზურაბ მიგრიაული

ქვაცაბაიას მეწყვილემ გზა გადაუჭრა



სოფო ქვაცაბაია მაროკოს ქალაქ საბატის კორტებზე ტურნირის მეოთხე ნომერ რუს ავგუსტა ციბიჩევასთან 3:6 6:4 3:6 დამარცხდა და ერთეულთა გათამაშებას გამოაკლდა. საქმე ისაა, რომ ციბიჩევა ამავე ტურნირზე წყვილთა შეჯიბრში სოფოს პარტნიორია, მაგრამ ეტყობა, რუსმა უფრო უკეთ აუღო ალღო ჩვენებურის ბურთაობას.

წყვილთა გამოსვლაში ქვაცაბაია-ციბიჩევას ტანდემთან რუსი ბურმისტროვასა და უკრაინელი უმანეცის დუეტი არ გამოცხადდა, რის გამოც ქართულ-რუსულმა დუელმა პირველი წრე უბრძოლველად გაიარა.

ზურაბ მიგრიაული

დღეს პეკინში ოლიმპიელების პირველი დელეგაცია გაემგზავრა. სხვა სპორტსმენებთან ერთად სეულის ოლიმპიადის ჩემპიონი, ტყვიის მსროლელი ნინო სალუქვაძეც, ვისთვისაც ეს ზაფხულის ოლიმპიადა მიჯრით მე-6 იქნება. ასეთი შედეგით ბევრი ვერ დაიკვეხნის. ჩინეთში ათასობით სპორტსმენს შორის თითზე ჩამოსათვლელი იქნება ისეთი, მე-6 ოლიმპიადაზე რომ გამოვა.

გუშინ ნინო სალუქვაძეს ვესაუბრეთ და ჯერ იმით დავინტერესდით, სად ემზადებოდა ოლიმპიადის წინ...

იმედია, ნინო სალუქვაძე პეკინში მედალსაც [illegible]

თბილი ატლანტიდან იდეალურ პეკინამდე

ნინო სალუქვაძის მეექვსე ოლიმპიური გასროლა

— ოლიმპიადისთვის სომხეთში ვემზადებოდი. ორჯერ გავიარე ორკვირიანი ვარჯიშები. ერევანში უმაღლესი დონის სასროლეთი ააშენეს. ყველა პირობაა იმისთვის, რომ უპრობლემოდ ივარჯიშო. ელექტროდანადგარებიც არის და, რაც მთავარია, შედარებით იაფი ჯდება. ადრე გერმანიაში მიწევდა ხოლმე წასვლა, ახლა ამის საჭიროება აღარ იყო, ერევანი შორსაც არაა და... სომხებმა ჭკვიანური გადაწყვეტილება მიიღეს. თუ ადამიანი მაინცდამაინც სპორტსმენი არ გამოვა, კარგად ისვრის და ბრძოლაში გამოადგება. ჩვენ კი მსგავსი არაფერი გვაქვს.

— სხვა ქვეყნის სპორტსმენებიც თუ ვარჯიშობდნენ ერევანში?

— ვარჯიშობდნენ, ბელარუსებიც იქ იყვნენ. უმაღლესი დონის სასროლეთია და ბევრი მსროლელი უარს ნამდვილად არ იტყვის.

— თქვენს წლევანდელ შედეგებზე რას იტყვით?

— რამდენიმე საერთაშორისო ტურნირზე, მათ შორის მსოფლიოს თასზე ვისროლე. ევროპის ჩემპიონატზე მე-2 ადგილი ავიღე, მაგრამ ჩემპიონობა მაინც ჩემპიონობაა. ბოლოს ბელგრადში გამოვედი ტურნირზე, თორემ ორ თვე მიცდებოდა და ეს ძალიან ბევრია.

— თქვენთვის პეკინის ოლიმპიადა მეექვსე იქნება, ამაზე რას იტყვით?

— ყველა სხვადასხვანაირად მახსენდება. ძალიან თბილად მიგვიღეს ატლანტაში. თან ჯორჯიის შტატი იყო. თუმცა წმინდა ორგანიზაციული თვალსაზრისით სეულთან ახლოს ვერც ერთი მივა. ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო გაკეთებული და არანაირი პრობლემა არ შემქმნია.

— ბევრი ფიქრობს, რომ ამ მხრივ პეკინი ყველას აჯობებს...

— ალბათ, ასეც იქნება საერთოდ აზიელები ასეთ საკითხებში მაგრები არიან და გერმანელებსაც სჯობნიან. ლათინური ამერიკის ქვეყნები საქმეს შედარებით ზერელედ უდგებიან. საშუალება მქონდა, ჩინეთში იმ სასროლეთში მესროლა, სადაც ოლიმპიადაზე გამოვალ. ყველაფერი იდეალურადაა მოწყობილი. დაცვა, მომსახურე პერსონალი, რომ აღარაფერი ვთქვათ თვითონ დარბაზზე. ერთი ეგ არის, ეს ქალაქი ოლიმპიური სოფლიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული. იმედია, გადაადგილებაში ხელი არ შეგვეშლება და ამაზეც იზრუნებენ.

ლევსო მაისურაძე

ჭიდაობა

შავაძემ ევროპული ოქრო მსოფლიო ბრინჯაოზე ვერ გადაცვალა

გუშინ სტამბოლში ახალგაზრდებს შორის ჭიდაობაში მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო და პირველ დღეს საჩვენო ვერაფრით ეთქმის. მით უმეტეს, ახლახან სლოვაკეთში დამთავრებულ ევროპის ჩემპიონატზე ამ ბიჭებმა ბევრი მედალი დააგროვეს. ჰოდა, ამიტომაც „ანტიკოსთაგან" მეტს ველოდით.

ზურაბ მაჭარაშვილმა (50 კგ) პირველ წრეში მექსიკელი ალეხანდრო გრიმალდიპულიდო წააქცია, ოღონდ მერე თვითონ დამარცხდა აზერბაიჯანელ კურსუტ ბაბაკოვთან. გიორგი კახაბრიშვილმა (74 კგ) საწყის წრეში დაისვენა, და მეორეში უკრაინელ სერგეი პროხკუნა დაამარცხა, რუს რამაზან აბაშარაევს კი ვერაფერი მოუხერხა.

ვასილ იმერლიშვილმა (90 კგ) ჩემპიონატი ომახიანად დაიწყო. ჯერ რუს ზაურ კოდოევს მოუგო, მერვედფინალში კი აზერბაიჯანელ ხამად კაზბაილოვს აჯობა.

ნახევარფინალში გადასასვლელ შეხვედრაში უკვე თავად დამარცხდა ყაზახ იერულან ისკაკოვთან. წაგებით დაიწყო, მაგრამ სხვებზე წინ წავიდა უჩა შავაძე (60 კგ), რომელმაც ზემოთ ნახსენებ ევროპის ჩემპიონატზე იჩემპიონა.

ჩვენებურმა მასპინძელ რაჰმან ბილიჩთან წააგო, მაგრამ იმის გამო, რომ თურქი ფინალობდა, რეპეშაჟში ჩართვის საშუალება მიეცა. ირანელ ამირ დერდიკვანდს ხასიათი გაუფუჭა და შემდეგ ეგვიპტელ საიდა მუნაისაც იგივე დღე აყარა.

შავაძე ბრინჯაოს ფინალში ყაზახეთის წარმომადგენელს ელდარ კაირატოვს ეჭიდავა და ჩვენდა სამწუხაროდ წააგო.

დღეს თურქეთში ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების კიდევ ოთხი ბიჭი იბრძოლებს. ესენი არიან: ჯემალ ხარაბაძე (55 კგ), რამაზ ვაშაყმაძე (66 კგ), გიორგი ჩუმბაშვილი (66 კგ), რამინ შაქარაშვილი (120 კგ), ვინც ევროპაზე ვერცხლი დააგემოვნა.

მომდევნო დღეებში თავისუფალი სტილით მოჭიდავეები გალენ ხალიჩაზე. მსოფლიოს ჩემპიონატი კი 3 აგვისტომდე გასტანს.

ლევსო მაისურაძე

10 წარმატებული მრბოლი















კარლოს სასტრე (ესპანეთი) — ბოლოს და ბოლოს, ტურ დე ფრანსზე თავისი მერვე შეტევის შემდეგ ესპანელმა გულში სიმსუბუქე იგრძნო. გასაგებია, რომ სასტრეს გუნდი CSC უძლიერესია ტურზე, მაგრამ მან თავად მოიპოვა ჩემპიონობა ლეგენდარულ აღმართ ალპ დუეზზე მძლავრი სოლო შეტევით და ბოლოსწინა ეტაპზე ინდივიდუალურ რბოლაში დამაჯერებელ გამოსვლით.

ბერნარდ კოლი (ავსტრია) — ტურ დე ფრანსის დაწყებამდე კოლოს შესახებ ბევრს არაფერი სმენოდა, მაგრამ უცნობი ავსტრიელი შლეგივით შეიჭრა ფრანგულ გზებზე, მოიპოვა საუკეთესო მთიელის სარგო წითელკოპალა მაისურა და ინდივიდუალურ რბოლაშიც მძლავრი გამოსვლით მთავარი პოდიუმის მესამე საფეხურზე დაიმკვიდრა ადგილი.

მარკ კავენდიში (ბრიტანეთი) — დაუდეგარი სპრინტერი და უსწრაფესი კაცი პელოტონში. „კავმა“ ოთხი სპრინტერული ეტაპი მოიგო და მწვანე მაისურა თავზე დამსახურებულად გადაიცვა. თანაც ის მხოლოდ 23 წლისაა და წინ მრავალი გამარჯვებით დატვირთული გრძელი გზა უძევს.

შტეფან შუმახერი (გერმანია) — მრავალ მნახველს წლევანდელი ტური სწორედ გერმანელი მრბოლის გამო დაამახსოვრდება. გორაკებზე თუ ვაკეზე მუდამ პელოტონის წვერში მიქროდა და ხშირად უტევდა, ამასთან მოიგო ორივე ინდივიდუალური რბოლა.

კრისტიან ვანდეველდე (აშშ) — ამერიკელი მრბოლი შესაძლოა, ლენს არმსტრონგივით ნიჭიერი არ იყოს და CSC-ს სუპერგუნდშიც ვერ ვარსკვლავობდეს, მაგრამ ალპებში რიგიანად იარა და საბოლოო ჩათვლაში მეხუთე ადგილის დაკავებით საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწია.

ენდი შლეკი (ლუქსემბურგი) — 23 წლის ლუქსემბურგელი საერთო ჩათვლაში 11 წუთით ჩამორჩა გუნდის ლიდერ და ჩემპიონ სასტრეს, მაგრამ თავისი ნიჭიერება კიდევ ერთხელ დაამტკიცა და ხალხი აალაპარაკა — ეს ბიჭი ტურის მომავალი ჩემპიონიაო. „საშინლად“ კარგი იყო ალპებში, თანაც მოირგო საუკეთესო ახალგაზრდას (24-წლამდელის) სარგო თეთრი მაისურა.

კიმ კირხენი (ლუქსემბურგი) + კავენდიში და შლეკი საბოლოოდ ტურის საუკეთესო სპრინტერი და ახალგაზრდა კი გახდნენ, მაგრამ კირხენი პირველი კვირის განმავლობაში ამაყად ატარებდა ერთდროულად მწვანე და თეთრ მაისურას, თანაც საბოლოო ჩათვლაშიც ფრიად პატივსაცემი მერვე ადგილი დაიკავა.

ოსკარ ფრეირე (ესპანეთი) — რეაქტიულმა „რაბობანკელმა“ მხოლდ ერთი ეტაპი მოიგო, მაგრამ გახდა პირველი ესპანელი, ვინაც უსწრაფესი სპრინტერის კუთვნილი მწვანე მაისურა მცირე ხნით მაინც მოირგო. თანაც ბარის ეტაპების ფინიშებზე ყველა სპრინტში გამოირჩეოდა.

გუნდი CSC (დანია) — ეს დანიური გუნდი და ყველა მისი მრბოლი იმსახურებს გამორჩევას. ფაბიან კანჩელარა, იენს ფოიტი, ძმები შლეკები და სხვები დაუღალავად მუშაობდნენ და კარლოს სისტრეს გამარჯვებას საძირკველს უყრიდნენ. წლევანდელ ტურზე ბიარნე რიისის გუნდი მთლიანად დომინირებდა.

სილვიან შავანელი (საფრანგეთი) — მრავალი წლის წარუმატებელი გამოსვლის შემდეგ ფრანგთა მარადიული იმედის მუხლგაუჩერებელმა შრომამ შედეგი მოიტანა. შავანელმა მე-19 ეტაპი მოიგო და არაოფიციალურად პელოტონის ყველაზე შემტევ მრბოლად დასახელდა.



ტურ დე ფრანსი დასრულებულია, მაგრამ უპოპულარულესი ველოტურის გარშემო კომპეტენტური აზრის გამოთქმა და შთაბეჭდილებათა გაზიარება კიდევ კარგა ხანს გაგრძელდება. „ეუროსპორტის“ ვებგვერდი კარგადაც აშუქებდა წლის უმთავრეს მრავალდღიან ველოშეჯიბრს, ახლა კი შეძამების სახით ორ სიმბოლურ ათეულს

10 წარუმატებელი მრბოლი

















კედელ ევანსი (ავსტრალია) — ევანსის წისქვილზე მისი ასაკი ასხავს წყალს, 31 წლის ავსტრალიელი სასტრეზე ორი წლით უმცროსია და კიდევ რჩება ტურის მოგების შანსი, მაგრამ მან უკვე მეორე რეალური შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან, შარშან ალბერტო კონტადორთან წააგო, წლეულს კი კარლოს სასტრეს ჩამორჩა. მისი მეორე ადგილი ამიტომაც ჩაითვალა იმედგაცრუებად.

რიკარდო რიკო (იტალია) — იმედისმომცემმა იტალიელმა ორი ეტაპი მოიგო და ისე ჩანდა, მთელი ველოტურის განმავლობაში უნდა ებრწყინა, მაგრამ აკრძალულ ნივთიერება EPO-ს ხმარებაზე ჩავარდა და მთელი წარსული, აწმყო და მომავალი წაემურდლა. დმიტრი ფოფონოვთან, მოიზეს დუენიასსა და მანუელ ბელტრანთან ერთად წლევანდელი ტურის სირცხვილია.

ალეხანდრო ვალვერდე (ესპანეთი) — პრიზიორად კი არა ტურის მთავარ ფავორიტად მოიაზრებოდა და მძლავრმა ესპანელმა მძლავრადაც დაიწყო, მოიგო პლუმელეკში და ლიდერის ოქროსფერი მაისურაც ირგუნა, მაგრამ მას მერე ყველაფერი მწვერვალზე ატანილი ბარგივით უფსკრულში ჩაუვარდა. ხალხი ამასაც კითხულობს: ოდესმე რომელიმე დიდ ტურნირზე ეს კაცი საერთოდ რამეს მოახერხებს თუ ვერა?

დენის მენშოვი (რუსეთი) — მთლად ვალვერდესავით მაღლა არა, მაგრამ პროგნოზებში ამასაც სადღაც მაღლა აყენებდნენ, მაგრამ რუსი ჩაფლავდა ალპებშიცა და ინდივიდუალურ რბოლაშიც და მეოთხე ადგილით მოუხდა დაკმაყოფილება.

რობი მაკივენი (ავსტრალია) — ოდესღაც ყველაზე თუ არა, ერთ-ერთ უსწრაფეს სპრინტერად ითვლებოდა, ტურზე 13 ეტაპი მოუგია და სამჯერ მწვანე მაიკაც ხელს გაიყოლა, მაგრამ წლეულს ძველი მაკივენის არაფერი დარჩა. ეტაპიც კი არ მოუგია, ახლოსაც კი არ მისულა ამასთან.

კრისტოფ მორო (საფრანგეთი) — შესაძლოა, კრისტოფ მოროსთვის ეს ტური უკანასკნელი იყოს და ამასთან უარესიც. ფრანგმა ვეტერანმა ბევრი ვერაფერი გააკეთა და თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა. ერთი დღე მაინც რომ გაეჭირვებინა და გაეელვებინა გზებზე... ასეთი ულიმღამო დასასრულია...

სტიინ დევოლდერი (ბელგია) — ტომ ბონენის არყოფნაში დევოლდერი „ქუიქ სტეპის“ მთავარი დამრტყმელი ძალა უნდა ყოფილიყო და ოფიციალურად ასეც მოიხსენიებოდა, მაგრამ ტური ალპებს რომ მიადგა, აშკარად ჩაფლავდა. იტალიის საზღვრამდე 30 კილომეტრით ადრე საერთოდ გამოეთიშა რბოლას.

დამიანო კუნეგო (იტალია) — 2004 წელს ჯირო დიტალიის მოგების შემდეგ კუნეგოსგან მუდამ ბევრს ელიან, ის თითქოს საკმაოდ მომწიფდა დიდი გამარჯვებებისთვის და ფავორიტებშიც ჩაწერეს, მაგრამ ავარიებმა მწვერვალისკენ არ გაუშვა.

აიმარ სუბელდია (ესპანეთი) — 2006 წლის ტურზე მეექვსე იყო, 2007 წელს მეხუთე ადგილი დაიჭირა, მაგრამ წლეულს ამ უნიჭიერესმა მრბოლმა პირდაპირ საზიზღრად იარა და მხოლოდ 45-ეზე გაიჩხირა. ვერც მან და ვერც მისმა „ეუსკალტელმა“ ეტაპიც ვერ მოიგეს.

ხუან მაურიციო სოლერი (კოლუმბია) — კოლუმბიელი მთიელი პირდაპირ უსუსური იყო აღმართებში. შანსიც კი არ მისცემია, რომ შარშან მოპოვებული წითელკოპალა მაისურა შეენარჩუნებინა, რადგან უკვე მეორე ეტაპზე წაიქცა, მაჯა მოიტეხა და წარმატებისკენ ხიდიც ჩაუტყდა.

ცინცინატიში შეიძლება რაღაც მოხდეს

კაცები

მასტერსი. ტორონტო. კანადა. ჰარდი
საპრიზო 2 615 000 დოლარი

პირველი წრე

როგი ჯინეპრი (აშშ) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:0 7:6; ხოსე აპასუსო (არგენტინა) — პოლ კაპდევილი (ჩილე) 5:7 6:2 6:2; ივო კარლოვიჩი (16, ხორვატია) — ტომაზ ბელუჩი (ბრაზილია) 6:3 6:4; ტომი რობრედო (12, ესპანეთი) — მარდი ფიში (აშშ) 6:2 6:2; რობინ სოდერლინგი (შვედეთი) — ჟულიენ ბენეტო (საფრანგეთი) 6:0 6:3; ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) — მაიკლ იანი (აშშ) 6:3 6:4; დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — მარატ საფინი (რუსეთი) 7:6 6:4; სემ ძუერეი (აშშ) — პოლანრი მატიო (საფრანგეთი) 6:4 4:6 6:3; ერნესტ გულბისი (ლატვია) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 7:6 6:2; ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი) — ფერნანდო გონსალესი (13, ჩილე) 6:3 3:6 6:3; ანდრეა სეპი (იტალია) — ფელიჩიანო ლოპესი (ესპანეთი) 7:5 7:5; ტომი ჰაასი (გერმანია) — მიხაილ იუჟნი (14, რუსეთი) 7:6 2:6 6:4; გაელ მონფილზი (საფრანგეთი) — დონალდ იანგი (აშშ) 6:1 6:1

ქალები

მონრეალი. კანადა. ჰარდი
საპრიზო 1 340 000 დოლარი

პირველი წრე

პეტრა კვიტოვა (ჩეხეთი) — აიკო ნაკამურა (იაპონია) 6:2 6:4; ტამირა პაუეკი (ავსტრია) — ფრანჩესკა შიავონე (14, იტალია) 7:6 1:6 6:1; ვიროჟინი რაზანო (საფრანგეთი) — არავანე რეზაი (საფრანგეთი) 6:1 6:2; ალა კუდრიავცევა (რუსეთი) — შაელ შიპერზი (სამხრეთ აფრიკა) 6:3 7:6; მიშელ ლარშერდე-ბრიტო (პორტუგალია) — ვანია კინგი (აშშ) 2:6 6:3 6:3; პატი შნიდერი (9, შვეიცარია) — მენგ იუანი (ჩინეთი) 7:6 3:2 (უარი); მარიანა ნიკულესკუ (რუმინეთი) — ვარვარა ლეპჩენკო (აშშ) 6:1 6:2; მარიონ ბარტოლი (10, საფრანგეთი) — მელანი საუტი (ბრიტანეთი) 6:3 6:7 6:0; შაჰარ პირი (ისრაელი) — საბინე ლისიცკი (გერმანია) 6:3 6:4; დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკეთი) — ელენა ვესნინა (რუსეთი) 6:1 6:1

ქალები

სტოქჰოლმი. შვედეთი. ჰარდი
საპრიზო 145 000 დოლარი

პირველი წრე

აგნეს სუავი (2, უნგრეთი) — იანინა ვიკმაიერი (ბელგია) 7:5 7:6; კატარინა სრებოტნიკი (3, სლოვენია) — ანა ლაპუჩენკოვა (რუსეთი) 6:2 6:1; კამილ პინი (საფრანგეთი) — კატერინა ბონდარენკო (7, უკრაინა) 7:6 7:6; ივეტა გენეშოვა (ჩეხეთი) — ტატიანა პეტრებინისი (უკრაინა) 6:2 6:2; ემა ლეინი (ფინეთი) — ალექსანდრა პანოვა (რუსეთი) 6:2 6:2; ანაგელ მედინა-გარიგესი (5, ესპანეთი) — სანდრა რომა (შვედეთი) 6:3 6:1; ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუსეთი) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) 6:4 3:6 6:1

ახლა ყველას ყურადღება ცინცინატისკენ არის მიპყრობილი, სადაც ამ კვირის ბოლოს საჩოგბურთო სამყარო შეიძლება, სერიოზულად შეზანზარდეს, რადგანაც შანსია, სამეფო ტახტიდან როჯერ ფედერერი მოისროლონ. ამაზე წერილ ალბათ უკვე თავიც მოგაბეზრეთ, მაგრამ ჩვენც არ გაგვემტყუნება — ეს მართლაც კოლოსალური მნიშვნელობის მოვლენაა და ამიტომაც აუცილებლად იმსახურებს ამდგვარ ყურადღებას. ბოლოს და ბოლოს, ეს ქალთა რეიტინგი, ხომ არ არის, სადაც პირველი ჩოგნის ვინაობა ლამის ყოველ კვირა იცვლება. აქ მთელი ეპოქის, ფედერერის ერის დასრულებაზეა საუბარი, რომელიც უკვე რეკორდული 235 კვირაა გრძელდება.

შეგახსენებთ, რომ დიადი ალპელის დომინირებას ბოლო მხოლოდ იმ შემთხვევაში მოელება, თუ თავად „მხიარული როჯერი" ცინცინატიში ნახევრფინალამდე წააგებს, იდეალურ ფორმაში მყოფი რაფაელ ნადალი კი იჩემპიონებს. თუმც მოქმედების მთავარი პერსონაჟები საქმეში ჯერ არ გვინახავს — როგორც წესი და რიგია, ისინი რამდენიმე სხვა რჩეულთან ერთად პირველი წრის თამაშებს ტოვებდნენ და მეტოქეთა ვინაობის გარკვევას ელოდნენ.

ამის მიუხედავად, ცინცინატიში საინტერესო მაინც საკმაოდ მოხდა და ყველაფერს თანმიმდევრობით მივყვეთ. ჯერ კორტზე მიღმა დატრიალებულ ამბებს მივხედოთ — ტრავმების გამო ტურნირზე თამაშზე უარი თქვეს მე-9 ნომრად განთესილმა სტანისლას ვავრინკამა და ხორვატმა მარიო ანჩიჩმა. მათი ადგილები შესაბამისად არნო კლემანმა და პოლ კაპდევილმა დაიკავეს. ეს უკანასკნელი გუშინ საქმეშიც ვნახეთ, როცა ხოსე აკასუსოს დაეტაკა და პირწმინდად დაიჩაგრა კიდეც.

სხვა სიახლეებიდან ორი განთესილის — ფერნანდო გონსალესისა და მიხაილ იუჟნის წაგებები იქცევენ ყურადღებას. პირველი ტომაშ ბერდიხისგან მიიჩოგნა. არადა, პირველი სეტის საკმაოდ უკბილოდ წაგებისა და მეორეს არცთუ ხეირიანად დაწყების შემდეგ გონსალესმა შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და ზედიზედ ხუთი გეიმის მოგებით ანგარიში გაათანაბრა. ამის შემდეგ უპირატესობა თითქოს მასვე უნდა ჰქონოდა, მაგრამ ჩეხმა უფრო იყოჩაღა და მეორე გეიმში ბრეიკი რომ აიღო, იმის შემდეგ სამხრეთამერიკელი ახლოსაც აღარ გაიკარა.

იუჟნი კი ისევ გერმანელის მსხვერპლი შეიქნა. ამას იმიტომ ვამბობთ, რომ რუსი ერთი კვირის წინ ტორონტოშიც გერმანელმა დააჩოქა — კანადაში ეს ნიკლას კიფერმა გააკეთა, გუშინ კი ტომი ჰაასის ჯერ დადგა, რომელმაც ძალიან მძიმე, ორსაათნახევრიან ბატალიაში მხოლოდ ბოლოსკენ შეძლო სლავის დაჩოქება.

სამმატჩიანი წაგებათა სერია შეწყვიტა ივო კარლოვიჩმა. აყლაყუდა ხორვატს თითქმის ერთი თვეა გამარჯვების გემო არ გაესინჯა და ამიტომ ტომაზ ბელუჩისთან შეხვედრას ძალიანკონცენტრირებული შეხვდა. ამას უნდა დავაბრალოთ ბალკანელის უჩვეულოდ კარგი თამაში მიღებაზე, რითაც ის არასდროს გამოირჩეოდა — მოკლედ, კარლოვიჩმა ბრაზილიელი ადვილად დაჩაგრა.

წაგო ტურის ყველაზე მხცოვანმა მეჩოგნე იონას ბიორკმანმაც — 36 წლის შვედს უკვე გადაწყვეტილი აქვს სპორტიდან წასვლა და არცთუ ტყუილად, რადგანაც რა ხანია, კინკილა მოგება არ ღირსებია. გუშინ კი ბებერი ვიკინგი რობი ჯინეპრიმ წააქცია, რომელიც ახლა ფედერერს უნდა დაეტაკოს.

მარატ საფინის უიმბლდონური გაბრწყინება მხოლოდ ერთჯერადი მოვლენა ყოფილა და მას რუსის სტაბილურად მაღალ დონეზე ათამაშება არ მოჰყოლია. მარატი ისევ დაუბრუნდა ბოლო წლებში თავისთვის ჩვეულ, ბრიყვული შეცდომებით აღსავსე ჩოგნაობას და ამიტომაც აგერ მესამე ტურნირია, მიჯრით ორი მატჩი ვერ მოუგია. ამჯერად საფინს თანამემამულე დმიტრი ტურსუნოვმა მოუთავა საქმე.

ამ კვირას ასევე იმართება ქალთა ორი ტურნირიც, თუმც სერიოზულ ინტერესს მხოლოდ მონრეალში დაწყებული შეჯიბრი იწვევს, სადაც ყველა უძლიერესმა მოიყარა თავი. თუმც არა ყველამ — კანადაში არ არიან შავდა უილიამსები, რომლებიც ახლა ლაზარეთში იმყოფებიან და იმაზე მარჩიელობენ, მოასწრებენ თუ არა საპეკინოდ ჯანზე მოსვლას.

ფავორიტებს გუშინ არც მონრეალში მოუკლავთ თამაშით თავი, მაგრამ ერთი მცირე მოულოდნელობა კი მოხდა — 17 წლის ტამირა პაუეკმა თავისზე ლამის ორჯერ უფროს ფრანჩესკა შიავონეს მოუგო და კანადიდან პირველი განთესილი დაიფრინა.

გაცილებით სუსტი შემადგენელობაა თავმოყრილი სტოქჰოლმში, სადაც საუკეთესო მეჩოგნე მოქმედი ჩემპიონი აგნეშკა რადვანსკა გახლავთ. გუშინდელი ამბებიდან კი მეშვიდე ნომერ კატერინა ბონდარენკოს წაგებაა გამოსაყოფი — უკრაინელი კამილ პინმა შეიწირა.

ტამირა პაუეკი

კახა ლომაჯვილი

ვიტალი კლიჩკო

კლიჩკო-პიტერი ოქტომბერში?

არ დაადგა საშველი ვიტალი კლიჩკოს რინგზე დაბრუნებას. თითქმის წელიწადნახევარია, რაც უკრაინელი ამბობს, ძველი დიდების დაბრუნება მინდაო, მაგრამ სულ რაღაცაზე ითრევს ფეხს — ჯერ ვერ გადაეწყვიტა, ვის უნდა შეხვედროდა. შემდეგ, როგორც იქნა, ამოირჩია ნიგერიელი სამუელ პიტერი, ახლა კი ის ვერ გადაუწყვეტია, როდის შეხვდეს აფრიკელს. მოკრივეთა წარმომადგენლები უკვე თვეებია, მოლაპარაკებებს აწარმოებენ, მაგრამ შეთანხმებამდე ვერაფრით მისულან და პირდაპირ რომ ვთქვათ, ეს ყველაფერი უკვე მოსაბეზრებელი ხდება.

„პიტერის შტაბთან ისევ ვსაუბრობთ და ვფიქრობ, მალე მივაღწევთ შეთანხმებას" — ორიოდ დღის წინ განაცხადა კლიჩკომ. მაგრამ მაინდამაინც ნუ გაიხარებთ, რადგანაც ასეთი განცხადებები უკვე რამდენჯერმე გაკეთდა, საქმეზე კი ჯერ არავინ გადასულა.

თუმც უფროსი კლიჩკო თავს იკლავს, რომ ახლა ყველაფერი გაცილებით სერიოზულადაა და კონტრაქტის ხელის მოწერამდე ბევრი აღარაფერი დარჩა. ეგ კი არა და უკრაინელი ბრძოლის სავარაუდო თარიღსაც ასახელებს:

„ზუსტად ჯერ არაფერია ცნობილი, მაგრამ ვფიქრობ, ოქტომბერში რინგზე გავალთ".

ჩვენ კი მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, ველოდოთ, რა მოხდება. თუმც არც ისაა გამორიცხული, ყველაფერი ისევ ჩაიშალოს და კლიჩკოს სხვა მეტოქის ძებნა მოუწიოს.

კახა ლომაჯვილი

მხსნელი ბელი



ონილ ბელი

ექსაბსოლუტური ჩემპიონი პირველ მძიმე წონაში იამაიკელი ონილ ბელი ზემძიმე წონაში გადავიდა და ახლა აცხადებს, რომ ერთ დროს ამ ყველაზე პრესტიჟული კატეგორიას მხსნელად მოევლინება.

„ზემძიმე წონას ახლა მხსნელი სჭირდება და მე მზად ვარ, ამ საქმეს ხელი მოვკიდო. არ მსიამოვნებს ამის თქმა, მაგრამ ამ წონით კატეგორიაში ახლა გვარიანი დომხალია და ის გაწმენდას საჭიროებს ისეთი დინამიური მოკრივის მხრიდან, როგორიც მე ვარ" — თავის ქებას მოჰყვა ბელი.

შეგახსენებთ, რომ 2005 წელს ამ იამაიკელმა IBF-ს ქამარი მოიგო პირველ მძიმე წონაში. მალე მან ფრანგი ჟან-მარკ მორმეკი დაამარცხა და მას WBC-სა და WBA-ს ტიტულები ჩამოართვა. მაგრამ მას შემდეგ საქმეები სულ უკანუკან წაუვიდა და ჯერ IBF-ს ქამარი დაკარგა, რადგანაც აუცილებელ პრეტენდენტთან ბრძოლაზე უარი განაცხადა. ცოტა ხანში კი იამაიკელმა მორმეკთან მატჩ-რევანში წააგო და ქამრები ისევ ფრანგს გადააბარა. სულ ბოლოს ბელი პოლონელ ტომაშ ადამეკთან დამარცხდა და ამით პირველ მძიმე წონაში თითქმის ყოველნაირ პერსპექტივას გადაუსვა ხაზი.

და არ იკითხავთ, რატომ არის ასე იმედიანად ეს იამაიკელი ვაჟბატონი ზემძიმე წონაში გადასვლისას? თურმე ბოლო ბრძოლების დროს მას წონის დაკლება სჭირდებოდა და საუკეთესო თვისებებიც მხოლოდ ამიტომ ვერ გამოუვლენია — ახლა კი, რადგანაც დიეტაზე დაჯდომის პრობლემა აღარ ექნება, ბელს სჯერა, რომ თავის ძალას ბოლომდე აჩვენებს.

კახა ლომაჯვილი

639 ჩინელი

კარსმომდგარ პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე დიდი გუნდით, რაღა გასაკვირია და მასპინძლები გამოვლენ.

ჩინელები სპორტის ყველა სახეობაში მიიღებენ მონაწილეობას და მათ საოლიმპიადო განაცხადში 639 სპორტსმენია. ცნობისთვის გეტყვით, რომ სიდნეის 2000 წლის თამაშებზე 311, ხოლ ათენის 2004 წლის ოლიმპიადაზე 407 ჩინელი სპორტსმენი მონაწილეობდა.

გულისგულში ჩინელები არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველობაზე ოცნებობენ და საამისოდ მათი უმთავრესი დასაყრდენი მსროლელები, წყალში მხტომელები, ძალოსანი ქალები, მაგიდის ჩოგბურთელები, ბადმინტონის ოსტატები, ველოსიპედისტები და ნიჩბოსნები არიან.

რუსების მიზანი: ვაჯობოთ მასპინძლებს

რუსეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ლეონიდ ტიაგაჩევმა იმედი გამოთქვა, რომ პეკინის ოლიმპიადაზე რუსი სპორტსმენები არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში ჩინელებს აჯობებენ და მეორე ადგილზე გავლენ.

პირველ ადგილს ტიაგაჩევი ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს უთმობს — ამერიკელები ცურვასა და მძლეოსნობაში იმდენ ოქროს აიღებენ, მათი დაწევა ძალიან ძნელი იქნებაო.

რუსთა საპეკინო გუნდში 467 სპორტსმენია, რომლებმაც, ტიაგაჩევის ვარაუდით, დაახლოებით 30 ოქროს, მთლიანობაში კი 80-ზე მეტი მედალი უნდა მოიპოვონ.

რუსებს ყველაზე მეტად თავიანთი მოკრივეების, მოჭიდავეების, მსროლელების, მძლეოსნების, მხატვრულად ტანმოვარჯიშეებისა და სინქრონულად მოცურავეების ეიმედებათ.

ამერიკამ ჩემპიონი დაკარგა

პოლ ჰემი

ამერიკელი ტანმოვარჯიშე, ათენის 2004 წლის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი აბსოლუტურ პირველობაში პოლ ჰემი პეკინის ოლიმპიადაზე ვერ გამოვა.

მაისში, ამერიკის შიდა ჩემპიონატზე, ჰემმა ხელი მოიტეხა და მართალია, ოპერაცია სასწრაფოდ გაუკეთდა, საპეკინოდ ოპტიმალურ ფორმაში შესვლას ვეღარ ასწრებს.

არადა, ჰემი პეკინშიც უმთავრესი ფავორიტი იქნებოდა და, არა მხოლოდ აბსოლუტურ ჩათვლაში, არამედ ცალკეულ იარაღებზეც. აქედან გამომდინარე, მისი არყოფნა ამერიკელებისთვის სერიოზული დარტყმა იქნება — ისინი რამდენიმე გეგმურ მედალს მოისაკლისებენ.

პეკინში სასტუმროები გაიაფდა

პეკინის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ორ კვირაზე ცოტა მეტიღა დარჩა, ჩინეთისკენ უკვე დაიძნენ ტურისტები და, მიუხედავად იმისა, რომ სავარაუდოდ, სტუმართა ნაკლებობა პეკინში არ იქნება, სასტუმროების მეპატრონეებმა ფასების დაკლება დაიწყეს.

წინასწარ დათქმულ ფასებთან შედარებით, უკანასკნელ დღეებში სასტუმროების ტარიფი 10-20 პროცენტით დაეცა. მაგალითად, სამვარსკვლავიანი „ფუხაოს“ წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ნომრების 70% უკვე დაჯავშნულია, მაგრამ ივნისის ფასებთან შედარებით ახლა ნომერი 20 პროცენტით ნაკლები ღირს.

„ჩვენ გვსურს, სწორედ იმ მომენტისათვის მივიზიდოთ ტურისტების დიდი ნაკადი, როდესაც ისინი თავიანთი მოგზაურობის გრაფიკის შედგენას ასრულებენ“ — ნათქვამია „ფუხაოს“ წარმომადგენლის განცხადებაში.

ოლიმპიადის მოახლოებასთან ერთად ფასების ასეთი პოლიტიკის გატარება, სავარაუდოდ, უფრო ადგილობრივ მოსახლეობაზეა გათვლილი — ჩინეთი დიდია, მილიარდნახევრიანია და თამაშების დროს პეკინში ჩასვლის მსურველიც ბევრი იქნება.

ჩინელები ვარაუდობენ, რომ ქვეყანაში ოლიმპიადის დროს, დაახლოებით ნახევარი მილიონი უცხოელი ჩავა და კაცმა რომ სიმართლე თქვას, ეს რიცხვი ბევრით არ აღემატება ტურისტების იმ რაოდენობას, რომელიც აგვისტოში ჩინეთს სტუმრობს ხოლმე.

ბერძნებმა ტანუ თქვეს

100 მეტრზე სირბილში სიდნეის 2000 წლის ოლიმპიური თამაშების მეორე პრიზიორი კატერინა ტანუ ვინც ათენის ოლიმპიადის წინ დოპინგ-ტესტის გავლაზე უარი განაცხადა და ამის გამო მშობლიურ თამაშებს ხომ გამოაკლდა და ორწლიანი დისკვალიფიკაციითაც დაისაჯა, საბერძნეთის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა პეკინის ოლიმპიადაზე წამსვლელთა სიაში შეიყვანა.

„ეს საბოლოო სიაა და კატერინა ტანუ ოფიციალურადაა გუნდი წევრი“ — ნათქვამია საბერძნეთის ეოკ-ის განცხადებაში.

სულ ბერძნები პეკინში 156 სპორტსმენს წაიყვანენ, რომელთაგან 84 კაცია და 74 ქალი. ისინი სპორტის 24 სახეობაში მიიღებენ მონაწილეობას. ბერძნების მთავარი საპეკინო იმედები კაც კალათბურთელებსა და მძლეოსნებს უკავშირდება.

ბილის საერთაშორისო ტურნირი

ბილი. შვეიცარია. 19 ივლისი — 1 აგვისტო

VIII ტური

მაგნუს კარლსენი (ნორვეგია)	0:1	ევგენი ალექსეევი (რუსეთი
ალექსანდრ ონიშჩუკი (აშშ)	0:1	ეტიენ ბაკრო (საფრანგეთი)
ლენერ დომინგესი (კუბა)	1:0	იანიკ პელეტიე (შვეიცარია)



ალექსეევმა დომინგესს ლიდერობა აჩუქა

შვეიცარიულ ბილში მიმდინარე ტრადიციულ ტურნირს კუბელი დენერ დომინგესი ლიდერობს. ეს მას შემდეგ, რაც მეშვიდე ტურგი მაგნუს კარლსენმა თეთრი ფიგურებით ევგენი ალექსეევთან წააგო და პირველი ადგილი სწორედ დომინგესს გადაულოცა.

17 წლს ნორვეგიელი წლეულს საუცხოო ფორმაშია და ეს მარცხი ცოტა მოულოდნელი იყო.

ტრადიციას მან არც ამ პარტიაში უღალატა და მატჩი კლასიკურად ლ4-ით დაიწყო. ალექსეევი აქტიურად ჩაერთო თამაშში, ცენტრში ლაზიერი გამოიყვანა და გაცვლებს მიმართა. თეთრებმა დასაცავად მძიმე ფიგურები აამუშავეს, თუმც მტერი ვერ შეაკავეს და ხელმწიფის ფლანგი დაკარგეს. კარლსენმა შავ მეფეზე ლაზიერი მიუშვა. თეთრმა დედოფალმა ბევრი უტრიალა მეტოქეთა ბელადს, თუმც ახლო ვერ მივიდა და 66-ე სვლაზე გაცვლა ამჯობინა. რუსმა ხელმწიფის მხრიდან ორი პაიკი ბოლო ჰორიზონტალისკენ გაუშვა, 82-ე სვლაზე ლაზიერად აქცია და ორიოდე სვლაში იმარჯვა კიდეც.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი შეჯიბრი კარლსენმა მოიგო და წლეულს ტიტულის დაცვას ცდილობს. დღეს ვიკინგი ლიდერ დომინგესს შეხვდება და ტურნირის გამარჯვებულის ვინაობაც, ალბათ, აქ გაირკვევა.

ლაშა გეგეჭკორი

1. ლენერ დომინგესი	5
2. ევგენი ალექსეევი	4,5
3. მაგნუს კარლსენი	4,5
4. ეტიენ ბაკრო	3,5
5. ალექსანდრ ონიშჩუკი	3
6. იანიკ პელეტიე	0,5

ფიდეს გრან პრი

სოჭი. რუსეთი. 30 ივლისი — 15 აგვისტო

გრან პრი ბაქოდან სოჭში ჩავიდა

დღეს სოჭში ფიდეს მეორე გრან პრი იწყება და მასში 14 დიდოსტატი ითამაშებს.

შეგახსენებთ, რომ ფიდემ სულ ექვსი გათამაშება დაგეგმა, რომელთაგან ერთს უკვე ბაქომ უმასპინძლა. მაშინ გამარჯვება სამ დიდოსტატს, ვუგარ გაშიმოვს, ვან იუეს და მაგნუს კარლსენს დარჩათ და საპრიზო 72 ათასი ევროც ძმურად გაიყვეს. თითოეული შეჯიბრის გამარჯვებული აქტივში 140 ქულას ჩაიწერს, ხოლო ექვსივე ტურნირის საუკეთესო ბონუსად 75 ათას ევროს მიიღებს და მსოფლიოს ჩემპიონატზეც ითამაშებს.

სოჭში იასპარეზებენ: უკრაინელები ვასილ ივანჩუკი და დიმიტრი იაკოვლევი, აზერბაიჯანელები თეიმურ რაჯაბოვი და ვუგარ გაშიმოვი, სომეხი ლევონ არონიანი, ამერიკელი გატა კამსკი, ებრაელი ბორის გელფანდი, ბულგარელი ივან ჩეპარინოვი, ჩინელი ვან იუე, ჩეხი დავიდ ნავარა და ყატარელი მოჰამედ ალ მოდიახი.

ტურნირის საპრიზო ფონდი 300 ათასი ევროა.

ლაშა გეგეჭკორი

ჩემი მანქანა სხვისას სჯობს

ლუის ჰემილტონს მაკლარენის ეიმედება



ლუის ჰემილტონი

უნგრეთის დიდი პრიზი, რომელიც ამ უქმეებზე გაიმართება ბუდაპეშტის სიახლოვეს მდებარე „ჰუნგაროორინგის“ ავტოდრომზე, შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს წლევანდელ საპირველფორმულო ჩემპიონატში. დიდი ბრიტანეთსა და გერმანიაში მოპოვებული ორი ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ, „მაკლარენ-მერსედესის“ ინგლისელმა პილოტმა ლუის ჰემილტონმა უნგრეთშიც თუ იმარჯვა, გენერალური კლასიფიკაციის ლიდერობას ხომ განმტკიცებს და კონკურენტებზე, პირველ რიგში კი, „ფერარის“ მრბოლებზე უზარმაზარ ფსიქოლოგიურ უპირატესობასაც მიიღებს.

თავად ჰემილტონი მიიჩნევს, რომ „ჰუნგაროორინგზე“ გასამართი რბოლა ერთ-ერთი ურთულესი იქნება წლევანდელ სეზონში. „უნგრული ტრასა ძალზე განსხვავებულია დანარჩენებისგან. სამაგალითოდ, თუნდაც გერმანულ, ჰოკენჰაიმის ავტოდრომს შევადარებ, სადაც ბოლო ეტაპი ჩატარდა. „ჰოკენჰაიმრინგზე“ შეგიძლია დიდი სიჩქარე განავითარო და უპრობლემოდ გაასწრო მეტოქეს. „ჰუნგაროორინგი“ კი სრულიად განსხვავებულია. აქ ძალზე ბევრი რამ კვალიფიკაციაზეა დამოკიდებული და არანაკლები მნიშვნელობა აქვს სწორად შერჩეულ ტაქტიკას. თანაც, ალბათ საშინელი სიცხე იქნება და ამან შეიძლება კონცენტრაცია დაგაკარგვინოს — განაცხადა ლუისმა და იქვე დაამატა — ვერანაირ პროგნოზს ვერ გავაკეთებ. ერთადერთი იმის თქმა შემიძლია, რომ ჩვენ ფანტასტიკური მანქანა გვყავს, ისეთი, რომლის ბადალის მოძებნა დღეს ძალზე ძნელია. მე უზარმაზარ სიამოვნებას ვიღებ ბოლიდის მართვისას და სწორედ მისი მეიმედება.“

ბოლიდის თემას შეეხო „მაკლარენის“ მეორე პილოტი, ფინელი ჰეიკი კოვალაინენიც. „უნგრეთში მანქანაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. ისიც საკმარისია, რომ სიცხეს და უაღრესად სპეციფიკურ, ჭუჭყიან ტრასას უნდა ებრძოლო. ამას თუ ბოლიდის პრობლემებიც დაემატება, სარბოლო უიქენდის შემდეგ ლიმონივით გამოწურული იქნები — განაცხადა კოვალაინენმა — „ჰუნგაროორინგზე“ ტრაექტორიის იდეალურად დაცვას უზარმაზარი მნიშვნელობა აქვს, უაღრესად აკურატული უნდა იყო. და, მიუხედავად ამ ყველაფრისა, მე მაინც მომწონს ეს ტრასა. შარშან აქ მერვე ვიყავი, მაგრამ რბოლით სიამოვნება მივიღე. იმედია, კვირა საღამოსთვის შარშანდელზე ბედნიერი ვიქნები“.

კახა ლომაძე

ფორმულა 1-ს წარმოგიდგენთ
Mobil 1
527 527 527
www.ibg.ge

ალონსომ შორს გაიხედა

თანამედროვე „სამეფო მრბოლებიდან“ უნგრეთის დიდი პრიზი ხუთ პილოტს აქვს მოგებული — 2002 წელს რუბენს ბარიკელოს („ფერარი“), 2003 წელს ფერნანდო ალონსოს („რენო“), 2005 წელს კიმი რაიკონენს („მაკლარენი“), 2006 წელს ჯენსონ ბატონს („ჰონდა“) და შარშან ლუის ჰემილტონს („მაკლარენი“).

ამ ხუთეულიდან წლევანდელ რბოლაში ფავორიტებად ჰემილტონი და რაიკონენი მიიჩნევიან. ბარიკელომ და ბატონმა, რომლებიც ამჟამად „ჰონდაში“ თანაგუნდელები არიან, ძნელად, რომ მაღალი ადგილებისთვის იბრძოლონ, ხოლო ორგზის ჩემპიონ ალონსოსგან ყველაფერია მოსალოდნელი.

თავად ფერნანდო, მიუხედავად კარიერის საკმაოდ რთული პერიოდისა, ოპტიმისტურად არის განწყობილი და იმედოვნებს, რომ გერმანიის დიდ პრიზზე წარუმატებლობის შემდეგ ისევ კონკურენტუნარიანი იქნება.

„2003 წელს სწორედ უნგრეთში მოვიგე ჩემი პირველი საპირველფორმულო დიდი პრიზი და საერთოდაც, „ჰუნგაროორინგზე“ ყოველთვის წარმატებით გამოვდიოდი. იმედი მაქვს, რომ გერმანიაში წარუმატებლობის შემდეგ იღბალი ისევ ჩემკენ იქნება. თანაც ბუდაპეშტში ყოველთვის უამრავი ქომაგი იყრის ხოლმე თავს და ძალიან თბილად გვხვდებიან. „ჰუნგაროორინგი“ უაღრესად მომთხოვნი ტრეკია. თანაც როგორც წესი, ძალიან ცხელა ხოლმე და ეს კი პილოტისა და მექანიკოსების სამუშაოს უაღრესად ართულებს — განაცხადა ესპანელმა მრბოლმა და იქვე თავის სამომავლო გეგმებზეც ისაუბრა — პირველი ფორმულა ურთულესი რამ გახლავთ. ის შენგან უზარმაზარ ენერგიას იღებს. სწორედ ამიტომ, ორიოდე წლის წინ კარიერის მალე დასრულებაზე ვფიქრობდი, მაგრამ ახლა ასე აღარ არის. რატომ არ უნდა დავრჩე ამ სამყაროში კიდევ 10-11 წელი? მე ჯერაც მშიერი ვარ გამარჯვებებზე. თანაც გაიხსენეთ, მიხაელ შუმახერსაც ჰქონდა მსგავსი პრობლემები — ორჯერ ჩემპიონი გახდა, მერე მთელი ოთხი წელი ვეღარ ახერხებდა პირველობას. მე ვერ მოვიგე ტიტული „მაკლარენთან“ ერთად და საამისო შანსი არც წლეულს მაქვს, მაგრამ ეს მხოლოდ ორი სეზონია. მე ჯერ ბევრი დრო მაქვს საიმისოდ, კიდევ რომ გავხდე ჩემპიონი.“

კახა ლომაძე

ბევრი წითელი ხარი


დიტრიხ მატეშიცი

„წითელი ხარები“ პირველ ფორმულაში ორი გუნდით, „რენოს“ ძრავებიანი „რედ ბულითა“ და „ფერარის“ გულიანი „ტორო როსოთი“ არიან წარმოდგენილნი.

„რედ ბული“, მოგეხსენებათ, საქვეყნოდ ცნობილი ენერგეტიკული სასმელია, რომელსაც ავსტრიელი ბიზნესმენის დიტრიხ მატეშიცის კომპანია უშვებს. ბოლო ხანებში, „წითელი ხარების“ საპირველფორმულო წარმატებებთან ერთად, განუხრელად იზრდება მატეშიცის კომპანიის მიერ გაყიდული „რედ ბულის“ რაოდენობაც. ასე მაგალითად, ეკონომიკურ ჟურნალ „კაპიტალის“ ინფორმაციით, შარშან მსოფლიოში 3,5 მილიარდი ქილა „რედ ბული“ გაიყიდა და ეს მაშინ, როდესაც 2001 წელს ანალოგიური მაჩვენებელი ერთ მილიონს შეადგენდა.

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ბოლო ორ თვეში, საფრანგეთში „რედ ბულის“ რეკლამაზე 9 მილიონი ევრო დაიხარჯა, ხოლო საავტომობილო სპორტში მატეშიცი ყოველწლიურად 450 მილიონ ევროს აბანდებს.

მატეშიცი თადარიგიანი კაცია და ამაზე ისიც კარგად მეტყველებს, რომ „რედ ბული“ ამ ეტაპისთვის ის ერთადერთი საპირველფორმულო გუნდია, რომელმაც 2009 წლისთვის სრული შემადგენლობა გამოაცხადა — დევიდ კულტჰარდის ნაცვლად, ვინც წლის ბოლოს მრბოლის კარიერას ასრულებს, ავსტრალიელ მარკ ვებერს გერმანელი სებასტიან ფეტელი შეუამხანაგდება.

„რედ ბულის“ სპორტული დირექტორის, კრისტიან ჰორნერის თქმით, ეს გადაწყვეტილება გუნდმა ძალზე იოლად მიიღო და ფეტელთან დაკავშირებით არც არანაირი პრობლემა არ ყოფილა, მით უმეტეს, რომ გერმანელი მრბოლი ამ წუთისთვის ასევე „წითელი ხარების“, ოღონდაც „ტორო როსოს“ ბოლიდით დაჯირითობს.

„მას შემდეგ, რაც კულტჰარდმა გვითხრა, რომ კარიერას ასრულებდა, უმალ ფეტელთან დავიწყეთ მოლაპარაკება და ყველაფერი იოლად მოგვარდა. ახლა ჩვენ ვებერისა და ფეტელის სახით, გამოცდილებისა და ახალგაზრდობის კარგი ნაზავი გვაქვს და ვიმედოვნებთ, რომ გაისად დიდ წარმატებებს მივაღწევთ“ — ბრძანა ჰორნერმა.

კახა ლომაძე

არჩილ ჟღენტის მეორედ წასვლა

„ახლა უკვე საბოლოოდ დავანებე კალათბურთის თამაშს თავი. ეს საბოლოო გადაწყვეტილებაა“ — გვითხრა გუშინ არჩილ ჟღენტმა, რომელმაც კალათბურთის თამაშს თავი შარშანაც დაანება, მაგრამ მერე დაბრუნდა და სეზონი თბილისის „დინამოში“ ჩაამთავრა.

33 წლის არჩილ ჟღენტი, თბილისის „დინამოს“ მთავარ მწვრთნელად იმუშავებს. იქამდე კი, საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის, იგორ კოკოშკოვის თანაშემწის, დავით უსტიაშვილის მოვალეობას შეასრულებს. რომელიც საქართველოს 20-წლამდელთანაკრების მთავარი მწვრთნელია და ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე იმყოფება.

არჩილ ჟღენტმა პროფესიული კარიერა თბილისის „კაქტუსში“ დაიწყო, მერე იყო თსუ-ში, რუსთავის „აზოტსა“ და თბილისის „დინამოში“.

ლეგიონერობისას თამაშობდა მოსკოვის „სპარტაკსა“ და სოჩოტის „ტრეფლიში“. 1996-2001 წლამდე თამაშობდა საქართველოს ეროვნულ ნაკრებში. არის საქართველოს ვიცე-ჩემპიონი და ბრინჯაოს მედლის მფლობელი. მოგებული აქვს საქართველოს თასი, დუდუ დადიანისა, ზურაბ საკანდელიძეს და მიხეილ ქორქიას მემორიალები.

ბაჩო სვანიძე

თორნიკე ჩაჩიბაია და დანარჩენი ქართველები ფინელებს ვერ მოერევნენ

ფინეთი ჩვენი წყევლაა

საქართველო 52:84 ფინეთი

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრები გაისად ისევ B დივიზიონში ითამაშებს. ეს ამბავი გუშინ გადაწყდა, როდესაც ჩვენმა კადეტებმა ჯგუფის ბოლო მატჩში, ფინეთთან უომედოდ წააგეს და შემდეგ ეტაპზე ველარ გავიდნენ.

საქართველოს ნაკრებს ერთი მოგებაღა აკლდა, რომ მეორე ჯგუფის ეტაპზე გაელწია და ელიტარული საგზურისთვის ებრძოლა, თუმც მიხეილ კობეშავიძის შეგირდებს გუშინ შანსი არ ჰქონიათ და პირველ ტაიმში 20 ქულაზე მეტს რომ ჩამორჩნენ, მეტოქეს ახლოსაც ვერ გაეკარნენ.

საწყენია რომ ქართველებს 5 ქულით წაგებაც აწყობდათ, მაგრამ საბოლოოდ 32 ქულით დამარცხდნენ. მეტოქესთან მიახლოვების შანსიც არ ჰქონიათ.

შემდეგ ეტაპზე კი ჩვენი ჯგუფიდან სლოვაკეთი და დანია გავიდნენ, არადა ჯგუფის პირველადგილოსანი სლოვაკეთი ჩვენებმა გუშინწინ დაამარცხეს.

ასეა თუ ისე, ქართველმა კადეტებმა ელიტაში აღზევება სამომავლოდ „გადადეს“, ფინეთის ნაკრები კი ყველა ასაკობრივ ტურნირზე ჩვენი წყევლა გამოდგა.

ბაჩო სვანიძე

ქართული ელიტარული მიზანი: დავრჩეთ!

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები გუშინ ლიტვაში გაემგზავრა, სადაც ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონში ითამაშებს. ქართველების გარდა ჯგუფში იტალიის, თურქეთის და ისრაელის ნაკრებები მოხვდნენ. საქმე ისაა, რომ გუნდის დღეევანდელი მდგომარეობიდან გამომდინარე, დავით უსტიაშვილის დამოძღვრილები ძირითადად A დივიზიონში დარჩენაზე გააკეთებენ აქცენტს. უფრო მეტის მიღწევას ამ ეტაპზე ჩვენები ალბათ ვერ მოახერხებენ. არადა, ელიტაში დასარჩენად ქართველ ახალგაზრდებს გვარიანი ოფლის ღვრა მოუწევთ. იტალიელებს ამ ასაკში ევროპაში ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ჰყავთ. მეტ-ნაკლებად ივივეს თქმა შეიძლება თურქეთზეც. არც ისრაელია ხელწამოსაკრავი, მაგრამ რეალურად ქართველების კონკურენტებად სწორედ ებრაელები ითვლებიან.

ტურნირი 1-დან 10 აგვისტომდე გაიმართება. ჩვენები პირველ შეხვედრას 1 აგვისტოს თურქეთის ნაკრებთან ჩაატარებენ. 2 აგვისტოს იტალიას ვეთამაშებით, ხოლო 3 აგვისტოს ისრაელს.

საქართველოს ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის მოსამზადებელი ეტაპი იტალიაში გაიარა და ოთხთა ტურნირზეც ითამაშა. იტალიურ ტურნირზე ქარველი 20-წლამდელების მეტოქეები ბერძნები, სლოვენიელი და იტალიელი თანატოლები იყვნენ. ჩვენებმა მასპინძლებთან და ბერძნებთან წააგეს, სლოვენიასთან კი მოიგეს. ცოტა ხნის წინ დავით უსტიაშვილმა „სარბიელთან“ საუბარში დაიჩივლა, რომ ძალიან ვტრავმიანობდით, თორემ იტალიაშიც უფრო მაღალ შედეგს მივაღწევდით და ევროპის პირველობისთვისაც უკეთესად მოვემზადებოდითო.

ამჟამადაც გუნდში ანალოგიური სიტუაციაა. სხვადასხვა მიზეზების გამო უსტიაშვილს შეგირდები ისევ აკლია. მართალია, რიჩარდ მათიაშვილი მოედანს დაუბრუნდა, მაგრამ მაინც სუსტადაა და შესაძლოა, რომელიმე შეხვედრაში გამძლეობამ უმტყუნოს.

გუშინვე საქართველოს ნაკრების ღია ვარჯიში მოეწყო, რომელზეც 20-წლამდელთა მთავარ მწვრთნელს დავით უსტიაშვილს ვესაუბრეთ.

— ევროპის პირველობაზე თექვსმეტივე გუნდი მაღალი დონისაა და იოლად ვერავინ ვერავის მოუგებს. რაც შეეხება ჩვენს ჯგუფს ეფიქრობ, მესამე ადგილისთვის ჭიდილი მაინც ისრაელის ნაკრებთან მოგვიწევს. ჩემი მოთამაშეები ამ დროისთვის კარგ ფიზიკურ ფორმაში არიან. არ ვიცი, რა როგორ იქნება, მაგრამ გპირდებით, რომ ბოლომდე თავდაუზოგავად ვიბრძოლებთ.

ზურაბ მიგრიაული

ზურაბ დოლიძაშვილის ფოტოები

ლიტვაში გამგზავრებამდე საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრებმა საბოლოოდ ივარჯიშა

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინსარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიახესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხოშერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00